საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ეული სიფფეა, ფეფილებით და ჭოტებით ბეფ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 31 მარტი. 2017 წ. №68 (8205), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„რუსთავი-2“ საზოგადოებას აბსურდის თეატრში ამყოფებს

3

7 თვითმმართველი ქალაქი სტატუსს კარგავს?

ფრთხილად,

ზუგდიდელებო, ოზურგეთელებო, გორელებო, თელაველებო, ახალციხელებო, მცხეთელებო და ამბროლაურელებო!

4

ჯანმრთელობის კონტროლი არ არსებობს, რეზერვის ასაკს კი 55 წლამდე ვზრდით

შეიარაღებული ძალები კრიზისიდან უნდა გამოვიყვანოთ!

5

პრეზიდენტობა არ დაიცადეს!..

31 მარტი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში დაიბადა.

ზვიად გამსახურდიამ საზოგადოებას თავი ანტისაბჭოთა გამოსვლებით სიჭაბუკიდანვე დაამახსოვრა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში, აგრეთვე, დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის 1978 წელს ზვიად გამსახურდია იყო ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალური ნომინანტი (წარდგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ). მანამდე, 1975 წელს, გამსახურდია და კოსტავა აირჩიეს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის“ წევრებად.

გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის, 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციის, რომელიც დასრულდა 9 აპრილს სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი.

1990 წლის დამდეგს გამსახურდიას თაოსნობით შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებით ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა (დროშა, ღერბი და ჰიმნი). ამასთან, დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი.

1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი დამაჯერებელი გამარჯვებით.

1991 წლის დეკემბერში ოპოზიციამ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო სამხედრო გადატრიალება. 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თბილისი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1993 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტი წალენჯიხის რაიონის სოფელ ხიბულაში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

* * *

დღეს, 31 მარტს, ქვეყანაში აღინიშნება 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის 26-ე წლისთავი.

რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც აღიარებული იქნა მთელი მსოფლიოს მიერ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნების გამოვლინებად. ამის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

7

ქართული საოპერო სცენის უნაზესი იადონი

გონებაში გაცოცხლებული დიდი მომღერალი მერი ნაკაშიძე

ანონსი

ხვალიდან **ნიკალაი სტარიკოვი:**

ცილდანამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად!

პრეზიდენტი ლიტვაში საქართველოს აფხაზ და ოს მოქალაქეებთან ერთად ჩავიდა

გიორგი მარგველაშვილი ლიტვას ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემდგენლობაშიც პოლიტიკოსებთან ერთად აფხაზი და ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები თამაზ გათიკაევი, ესმა კოკოსკერია და ლიახვის ხეობიდან დევნილი პაატა შიუკაშვილი იმყოფებიან, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა გადალახეს ევროკავშირის საზღვარი ვიზის გარეშე.

„ევროკავშირის ქვეყანაში ჩამოვედით აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნიდან საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები და გვიხარია, რომ ჩვენი ურთიერთობა ევროპასთან ამ მიმართულებით ღრმავდება.

მე ვფიქრობ, რომ ეს ნაბიჯი, ყველა იმ შესაძლებლობას განავითარებს, რომელიც გვაქვს ევროპასთან მიმართებაში, რომელიც შექმნილია ევროკავშირთან თანამშრომლობის თვალსაზრისით და მისცემს ძალიან საინტერესო შესაძლებლობას როგორც ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს, ასევე ევროპელებსაც“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ლიტვაში სასაზღვრო კონტროლის გავლისას.

ესმა კოკოსკერიას განცხადებით კი, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც აუცილებლად უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა.

ვილნიუსში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური დახვედრის ცერემონია ლიტვის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. ოფიციალური დახვედრის ცერემონიის შემდეგ კი, გიორგი მარგველაშვილმა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტთან დალია გრიბაუსკაიტესთან პირისპირ შეხვედრა გამართა.

<u>დიმიტრი ქუმსიშვილი:</u> დაგეგმილი მაჩვენებლები წარმატებით შესრულდება

2017 წლის თებერვლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 4.4 პროცენტის, პირველი ორი თვის კი — 4,8 პროცენტის ნიშნულზე დაფიქსირდა. ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ჩვენ მიმდინარე წელი ეკონომიკის 4-პროცენტიან ზრდაზე გვაქვს დაგეგმილი. პირველივე თვეები გვიჩვენებს, რომ საკმაოდ კარგად მივდივართ, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული 2017 წლის თებერვლის ეკონომიკური ზრდის წინასწარი მაჩვენებლის კომენტირებისას. მიმდინარე წლის იანვარში მშპ-ს ზრდამ 5.2 პროცენტი შეადგინა.

„შესაძლებლობა მაქვს, ყოველდღიურად თვალი ვადევნო მარტის თვის დამატებული ღირებულების გადასახადის ბრუნვებს და აქაც ძალიან კარგი მაჩვენებელი გვაქვს. მარტში, წინასწარი შეფასებით, საკმაოდ კარგად იზრდება ექსპორტი. ეს და სხვა მაჩვენებლები გვაძლევს ოპტიმიზმს, რომ ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი პარამეტრები წარმატებით შესრულდება,“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

* * *

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პირდაპირი კომუნიკაცია ბიზნესთან. ბიზნესსექტორი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი და კეთილდღეობის მომტანი“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა მედიასთან საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრებთან შეხვედრამდე, რომელიც სასტუმრო „ბილტმორში“ ჩატარდა. მისი თქმით, ბიზნესასოციაციაში გაწევრიანებული არიან ის კომპანიები, რომლებიც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს ქმნიან და ბევრ ადამიანს ასაქმებენ.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, კერძო სექტორისათვის მნიშვნელოვანი იქნება იმის გაგება, თუ რა გეგმები აქვს მთავრობას, რა შედეგებს ელოდება და რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც საინტერესოა კერძო სექტორის სურვილები. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ დიალოგშია შესაძლებელი ქვეყნის განვითარება.

პირველი რეისი ომალოში

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის დავალებით, შსს-ს ვერტმფრენმა თუშეთის მიმართულებით ყოველკვირეული რეისების განხორციელება დაიწყო.

ვერტმფრენმა პირველი მგზავრები, 17 ადგილობრივი მოსახლე, სოფელ ალვანიდან სოფელ ომალოში გადაიყვანა. მათთან ერთად შს მინისტრის მოადგილემ დავით ვარდიაშვილმაც იმგზავრა.

საავტომობილო გზის ამოქმედებამდე, შსს-ს ვერტმფრენი თუშეთში, მაღალმთიან სოფელ ომალოში კვირაში ერთხელ იფრენს და მესაზღვრეებთან ერთად, იქ მცხოვრებ ადამიანებს მოემსახურება.

ომალო თუშეთში, ზღვის დონიდან 1880 მეტრზე მდებარეობს. რთული გეოგრაფიული პირობებისა და უგზოობის გამო, სოფელი ნახევარი წლის განმავლობაში დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტილია.

<u>თამარ ჩუგოშვილი:</u> ვენეციის კომისიისთვის არასწორად მიწოდებული ინფორმაცია

ვენეციის კომისიის ექსპერტებისთვის არასწორად იყო მიწოდებული ინფორმაცია პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცასთან დაკავშირებით, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა ვენეციის კომისიის დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. თუმცა, მისივე თქმით, შეხვედრაზე, დელეგაციის წევრებს ზუსტი განმარტებები მიაწოდეს და „სრულიად მოიხსნა კითხვები, რაც მანამდე არსებობდა“.

„დეტალური განხილვა მოხდა იმ პროექტის, რომელიც ამ ეტაპზე არის შემუშავებული საკონსტიტუციო კომისიის მიერ. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ძალიან ადრეა იმისთვის, რომ რეკომენდაციები მოვისმინოთ. ძირითადად, ძალიან პოზიტიურად იქნა მიღებული ახალი პროექტი. არის გარკვეული საკითხები, რომელზეც დღის განმავლობაში გამართული შეხვედრების შემდეგ, ალბათ, გაგვაცნობენ თავიანთ მოსაზრებებს. ჯერჯერობით წარიმართა ძალიან საინტერესო, ძალიან კარგი შეხვედრა და ძალიან პოზიტიურად იქნა მიღებული ის ახალი პროექტი, რომელიც ამ ეტაპზე აქვს კომისიას შემუშავებული“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსი“ თვითმმართველობის არჩევნების ბოიკოტის საკითხს განიხილავს

პარლამენტის ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ შესაძლოა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადონ.

„ის კანონმდებლობა, ის სისტემა, რაც დღეს ფუნქციონირებს, სულაც არ არის თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლიანი. ვისაუბრეთ იმაზე, რომ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, რაც არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. მონიტორინგის კომიტეტის წევრები დაინტერესდნენ საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობით და იმით, ვუჭერთ მხარს, პრეზიდენტის საყოველთაო არჩევის წესს თუ პრეზიდენტის არჩევას პარლამენტის მიერ. ჩვენ ვთქვით, რომ მხარს ვუჭერთ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას. საარჩევნო თემატიკაზე მონიტორინგის ჯგუფის წევრებს დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ, რადგან მოახლოებულია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ხელისუფლება ამბობს, რომ არაფერს შეცვლის. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, დღის წესრიგში არჩევნების ბოიკოტის საკითხის დაყენებას“, — განაცხადა ინაშვილმა.

პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში

პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიურ მოხსენებას 7 აპრილს პრემიერ-მინისტრი დაესწრება. დებატები, რასაც საპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს, სავარაუდოდ, არ გაიმართება და პრეზიდენტის ანგარიშით გამოსვლის შემდეგ, სიტყვით მხოლოდ ფრაქციების თავმჯდომარეები გამოვლენ.

„ოპოზიცია ითხოვს დებატებს, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს დებატები გაუგებარი ფორმა არის ამ კონკრეტული შემთხვევისთვის“ — აცხადებს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძე. მმართველი გუნდის განმარტებას აბსურდულად მიიჩნევენ ოპოზიციაში. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ მარგველაშვილთან პირადი დაპირისპირების ფონზე, ხელისუფლება ქვეყნის ინტერესებს აზარალებს.

„ქართული ოცნება“ ყველანაირად ეცდება, რომ პრეზიდენტის მოსვლა იყოს არა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მოვლენა, არამედ ყველანაირად დაამსხვრიოს მნიშვნელობა მისი მისვლის. მათ აქვთ რაღაც პიროვნული ვენდეტის მსგავსი, ჩემი აზრით, ივანიშვილის დავალებით მარგველაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ვენდეტის განხორციელების დროს ვერ ხვდებიან, რომ, უპირველეს ყოვლისა, აზარალებენ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“, — აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

100 000 მოქალაქეს მიწა საკუთრებაში დაურეგისტრირდა

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში, 8 თვის განმავლობაში 100 000 -ზე მეტმა მოქალაქემ მიწა საკუთრებაში დაირეგისტრირა. რეფორმის დაწყებიდან დღემდე სააგენტოს ამ მოთხოვნით 170 ათასამდე მოქალაქემ მიმართა. აქედან 100 000 რეგისტრაცია საჯარო რეესტრმა წარმატებით დაასრულა. ამჟამად საკუთრების აღიარებისთვის შესაბამის კომისიაში 15 ათასამდე განცხადებაა გაგზავნილი, 8 ათასამდე მოქალაქის განცხადება შესწავლისა და განხილვის პროცესშია, 44 ათასამდე განცხადებაზე კი საჯარო რეესტრი, მოქალაქის ნაცვლად უფლების დამდგენ დოკუმენტაციას სხვადასხვა უწყებაში იძიებს.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა, რომელიც 2016 წლის 1 აგვისტოს დაიწყო, უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. რეფორმის დაწყება მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. 90-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-მდე იყო რეგისტრირებული. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, რეფორმის ფარგლებში კი მხოლოდ 8 თვის განმავლობაში მიწის რეგისტრაცია 10 % -ით გაიზარდა, რაც 2-ჯერ აღემატება წინა წლის იმავე პერიოდს.

სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაშიც ეხმარება. რეფორმის ფარგლებში საჯარო რეესტრმა მოქალაქეებს ნოტარიუსთან უფასო მედიაცია თავად დაუნიშნა, რის შედეგადაც 157 კომპლექსური საქმე მორიგებით დასრულდა და მოქალაქეებმა მეზობელთან ხანგრძლივი დავის შემდეგ მიწები მარტივად დაირეგისტრირეს. 100-ზე მეტი მედიაცია სხვადასხვა ნოტარიუსთანაა დანიშნული. სანოტარო მედიაცია დავების მოგვარების ალტერნატიული, სწრაფი, იაფი მეთოდია და მოქალაქეებს წარმოქმნილი დავების მარტივად, სასამართლოს გარეშე მოგვარებას სთავაზობს.

უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ „რეპორტიორთან“ საუბრისას „რუსთავი-2“-ში წილების გადანაწილებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ ვისი წილების გადანაწილება ხდება. კაკაბაძემ ასევე პრეზიდენტის კამპანია „კონსტიტუცია ყველასია“ შეაფასა და აღნიშნა, რომ ესაა მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია.

„რუსთავი-2“ საზოგადოებას აბსურდის თეატრში ამყოფებს

— ვიზა-ლიბერალიზაცია ძალაში შევიდა...

— ის, რომ ვიზა-ლიბერალიზაცია შევიდა ძალაში, რა თქმა უნდა, კარგია. გადაადგილების თავისუფლება ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებაა და თუ მართლაც გაუადვილდებათ გადაადგილება, კარგია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს ადრევე უნდა გაკეთებულიყო და ეს უფლება ჩვენს მოქალაქეებს იმ პერიოდიდან უნდა ჰქონოდათ, როდესაც ჩვენ გავხდით ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა.

ხელისუფლებამ ეს ისე წარმოაჩინა, თითქოს ეს იყოს ძალიან დიდი მონაპოვარი და საჩუქარი, რომელსაც კაცობრიობა უნდა შეჰხაროდეს და შეღაღადებდეს, ასეთი პოზიცია კი ჩემთვის გაუგებარია. ეს არის ნორმალური პროცესი და თანაც ძალიან დაგვიანებული და იმავდროულად საკმაოდ ღირსების შემლახავიც, მინდა, გითხრათ.

როდესაც იქ არის ჩადებული ის პირობები, რა პირობებსაც თხოულობენ საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში და შენ არა ხარ დაცული, რომ თუ ყველა იმ პირობას არ აკმაყოფილებ, შეიძლება უკან მოგაბრუნონ, ძალიან დამამცირებელია. საერთოდ ეს არის საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგი, რომ ისინი ასეთ დამამცირებელ პირობებს დათანხმდენენ იმისათვის, რომ მათმა მოქალაქეებმა ღირსეულად გადალახონ საზღვარი და გადაადგილდნენ იმ სივრცეში, რომელი სივრცის ნაწილადაც მოიაზრებს საქართველო თავის თავს.

— თქვენი აზრით, რამდენად ხშირი იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მოქალაქეები 3-თვიან ვადას გადააცილებენ და უფრო დიდი ხნით გაჩერდებიან ევროპაში და, თქვენი აზრით, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ეს ყველაფერი თავიდან ავიცილოთ?

— ჩემთვის, საერთოდ, გაუგებარია იმ წითელი ცირკულარის არსებობა ჩვენს ქვეყანაში, რასაც ხელისუფლება დასთანხმდა, ანუ, თუ შენ დაარღვიე პირობა და დაგვიანებით დაბრუნდი ქვეყანაში, შენივე ქვეყანა გიდგენს წითელ ცირკულარს. თუ სხვა ქვეყანა გააკეთებს ამას, გასაგებია, რადგან ის ქვეყანა ამას დარღვევად თვლის. თუ შენი ქვეყნის მოქალაქემ 90 დღის ნაცვლად, 95 დღე დაჰყოს ევროპაში, შენ ამას დარღვევად რატომ უთვლი და ამის გამო რატომ უზღუდავ შემდგომი გადაადგილების უფლებას? ძალიან გაუგებარია ჩემთვის, ქვეყნის შიგნით ეს ვალდებულება რატომ აიღო საქართველოს ხელისუფლებამ თავის თავზე. ეს მიმაჩნია ღირსების შემლახავად.

საერთოდ, საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს მოწოდებული, რომ დაიცვას ჩვენი უფლებები და არა ის, რომ შელახოს ჩვენი ღირსება. ამიტომ ასევე მიუღებელია ის მუქარებიც, რომ თუ იქ ვიღაცები დარჩნენ — მით უმეტეს, რომ გამომდინარე არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა, არის შანსი, მოქალაქეები სხვა ქვეყანაში დარჩნენ, — ამის გამო მთელი ერი უნდა დაისაჯოს და შეუწყდეს მიმოსვლა. ჩემთვის ესეც მიუღებელი და დამამცირებელია.

— „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებზე წილების გადანაწილებას როგორ შეაფასებთ?

— საერთოდ, მას მერე, რაც „რუსთავი-2“ გახდა „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზია და მანამდეც, სანამ ის ემზადებოდა რევოლუციისთვის, „რუსთავი-2“ საზოგადოებას აბსურდის თეატრში ამყოფებდა თავისი ინფორმაციებით, პროპაგანდით და დღესაც ჩვენ ამ აბსურდის თეატრში ვიმყოფებით. **ვის წილებს ინაწილებენ, ვის ქონებას ყოფენ, ვის რას ჩუქნიან, აბსოლუტურად გაუგებარია და ამაზე კიდევ დავა და დისკუსიების გამართვა საერთოდ სასაცილო მგონია, მაგრამ, სამწუხაროდ, „რუსთავი-2“-ის და იმ პოლიტიკური ძალის სტილია, ვისაც „რუსთავი-2“ განასახიერებს. მე ვფიქრობ, რომ ესაა აბსურდი, რაც დღეს „რუსთავი-2“-ში ხდება. ჩვენ ვიცით, რა არის კანონი, რა არის სამართალი და ის, რასაც დღეს „რუსთავი-2“ აკეთებს, არ ჯდება არანაირ სამართლებრივ ჩარჩოში, ეს არის მასკარადი და ამის უკან რეალური არაფერია.** რეალურია ის, რომ იყო მეწილეთა ბრძოლა და ამ ბრძოლაში ერთმა მხარემ გაიმარჯვა, დღეს კი ეს პროცესი ევროსასამართლოს მიერ არის შეჩერებული.

თავისთავად ეს შეჩერებაც, რომელიც „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით მოხდა, იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება და ამას სამართლებრივ გადაწყვეტილებასთან არანაირი კავშირი არა აქვს, რადგანაც **ევროსასამართლო ვერ უნდა იღებდეს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც აღსრულება არ უწერია.** აღსრულებაში ვგულისხმობ იმას, რომ, როდესაც შედგება ამ საქმის არსობრივი განხილვა და ვთქვათ, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქიბარ ხალვაშის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება იყო კანონიერი და სწორი, ამ შემთხვევაში ვინ უნდა აუნაზღაუროს ის მატერიალური ზარალი, რომელიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია იმ შეჩერებით, რომელიც დღემდე გრძელდება? როდესაც საქმესთან დაკავშირებით ასეთი დაშვება არსებობს, სასამართლოს არა აქვს უფლება, მიიღოს ცალმხრივი და უსამართლო გადაწყვეტილება.

— როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის კამპანიას „კონსტიტუცია ყველასია“?

— პრეზიდენტი არის წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში და ის ყველაფერს იყენებს ამ მიმართულებით. სხვა საკითხია, რამდენად ჯდება ეს მორალურ ჩარჩოებში, თუმცა მას ამის უფლება აქვს და ამას იყენებს თავისი პირადი პიარისთვის და შემდგომი პოლიტიკური პროცესებისთვის. როგორც ვხედავ, ის აპირებს პოლიტიკაში ყოფნას, ცდილობს, ჰქონდეს პოლიტიკური გუნდი და ამ კონსტიტუციას სწორედ ამ მიზნით იყენებს. კიდევ ვიმეორებ, ეს არ არის კანონის დარღვევა და მას ამის უფლება აქვს.

— პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? პირდაპირი წესით უნდა აირჩეს ქვეყნის პრეზიდენტი თუ არაპირდაპირი?

— პრეზიდენტის არჩევის არც ერთი და არც მეორე წესი არ არის პანაცეა,. მთავარია, რა უფლებები ექნება პრეზიდენტს. თუ **პრეზიდენტს ექნება ფართო უფლებამოსილებები, ბუნებრივია, ეს უნდა მოხდეს საყოველთაო არჩევნით, მაგრამ თუ მას ექნება რაღაც ძალიან სიმბოლური უფლებები და სიმბოლური დატვირთვა, მაშინ ასეთი თანამდებობის არჩევა საყოველთაო წესით გაუგებარიც იქნება.** ეს უნდა იყოს გამომდინარე იქიდან, თუ რა უფლებამოსილებები ექნება პრეზიდენტს.

ესაუბრა
სალომე უერთაშვილი

„ევროპული საქართველო“ ე.წ. მოსმენების კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს

ვაპირებთ, რომ ეს კანონი გავასაჩივროთ საკონსტიტუციო სასამართლოში და უკვე იქ ვიდავოთ მის კონსტიტუციურობაზე, — განაცხადა „ევროპული საქართველოს“ წევრმა გიორგი ტუღუშმა, ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით.

„ეს კანონი არის ერთი დიდი პრობლემა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ არანაირად ჩვენი პირადი სივრცე დაცული არ არის. ეს პრობლემა იდგა წლების განმავლობაში. სამწუხაროდ, ქართულმა ოცნებამ იმის მაგივრად, რომ საკანონმდებლო დონეზე მაინც შეექმნა დაცვის გარანტიები, პირიქით მიიღო კანონი, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უფლებები გაუფართოვა, შექმნა ახალი სააგენტო, რომელიც უშუალოდ დაუქვემდებარა ისევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ამით, პირველ რიგში, არ შესრულდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ევროპულ საქართველოს აქვს კონსულტაციები როგორც არასამთავრობო სექტორთან, ისე პოლიტიკურ პარტიებთან. რაც შეეხება თავად იმას, თუ რა გამოიწვია ამ კანონის მიღებამ, ფაქტიურად მოცემულობა დარჩა იგივე. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სუს-ს მოუნდება ჩვენი მოსმენა და პირად სივრცეში შემოსვლა, ამას განახორციელებს კონტროლის და შეზღუდვის გარეშე“, — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო პაკეტი ძალაში 30 მარტიდან შევიდა. სწორედ ეს რიცხვი არის ბოლო ვადა, როცა ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებული ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოც უნდა ამოქმედდეს.

◎ გაზეთი და მკითხველი

ნავთლუღელები აუტანელ პირობებში ვცხოვრობთ, გვიშველეთ!

გაცნობებთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი საცხოვრებელი სახლები მდებარეობენ ნავთლუღის ბაზრების (რვა დიდი და პატარა ბაზარი) მიმდებარედ. ეს შენობები 24 საათის განმავლობაში გარშემორტყმულია გარე მოვაჭრეებით. ანტისანიტარიულ პირობებში იყიდება მალფუჭებადი ხორცი, თევზი და რძის ნაწარმი. გვაწუხებს გახრწნილი პროდუქტების სუნი. მოვაჭრეების უმეტესი ნაწილი სარგებლობს ლტოლვილის სტატუსით. მათი მხრიდან ხშირია მყიდველთა ზომა-წონაში მოტყუება, რაც იწვევს ჩხუბსა და აყალმაყალს. ხმაური და ლანძღვა-გინება გრძელდება შუაღამემდე!

როგორც ცნობილია, გარშემო მდებარე ბაზრების შიდა ტერიტორია ნახევრად ცარიელია მოვაჭრეებისგან, მაშინ, როცა ტროტუარებზე ოთხრიგად დგას საავჭრო მაგიდები, რის გამოც ფეხით მოსიარულეებს მანქანის სავალ გზაზე სიარული გვიწევს!

ერთი სიტყვით, ჩვენ, ნავთლუღელები აუტანელ პირობებში ვცხოვრობთ!

კატეგორიულად მოვითხოვთ ჩვენი შელახული მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენას და გარევაჭრობის აკრძალვა-მოწესრიგებას!

მოსკოვის გამზირის №1, 3, 5, 7, 9, 11 და ქეთევან წამებულის ქუჩის №91-ის მცხოვრებთა სახელით:

იოსებ ლაზარაშვილი, ქეთევან მოსეშვილი, ინგა სულაძველიძე, ოლიკო ჟუმბურიძე, კახაბერ ანთიძე, ვანდა გრიგორიანი, ზურაბ ცქიტიშვილი, დალი გერიაშვილი, მერი სადაღაშვილი, მანანა ესაკია, მერი თუხარელი, გიული შავგულიძე, ივანე ლეჟავა, ნოდარ ქარდავა, თეიმურაზ საღირაშვილი, გარი ფრანგიანი, მაია გაგინაშვილი, ალექსანდრა ღრუბელაძე, თინათინ ჟუმბურიძე და სხვ.

სულ 120 ხელმოწერა.

რედაქციისგან:

გარევაჭრობის თვალსაზრისით თბილისში მართლაც აუტანელი მდგომარეობაა. ქალაქის ცენტრალურ უბნებში მერიამ მისი მოწესრიგება დაიწყო, ნავთლუღის ბაზრობებისკენ კი ჯერჯერობით არავის გაუხედავს! მოსახლეობა კი სრულიად სამართლიანად მოითხოვს საკუთარი უფლებების დაცვას.

შეიყვანეთ გარემოვაჭრეები ბაზრებში და გაანთავისუფლეთ ქუჩები აშკარა მოძალადეებისგან, იყავით უფრო მომთხოვნი და პრინციპულები მერიის სამსახურებო! წინააღმდეგ შემთხვევაში ნავთლუღშიც გარდაუვალია ბუნტი და არეულობა...

მოგვხედეთ მოხისელებს!

ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს!

ჩვენ, ქარელის რაიონის სოფელ მოხისის მაცხოვრებლები კვლავ გიგზავნით წერილს, რათა ვინმემ გაიგოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით ჩვენი გულისტკივილი ავტობანიდან. სოფელში შესასვლელი გზის არქონის გამო. არადა, სოფელში 500 კომლზე მეტი ადამიანი სახლობს.

სოფელი ისტორიულია (სწორედ აქ იყო გადასასვლელი აღმოსავლეთ-დასავლეთი საქარავნო გზისა). შესაძლებელია გზა მოეწყოს სოფლის რკინიგზის ბაქანთან (რკინიგზის ბაქანი თვით სოფლიდან დაშორებულია 2 კილომეტრით). რკინიგზის ქვეშ არსებობს მანქანის გასასვლელი გვირაბი, თუმცა წელიწადში 9 თვე გავსებულია წყლით და სოფლის მოსახლეობა იძულებული ხდება, დამატებით 4-5 კილომეტრი გაიაროს! თუ ამ გვირაბში მოწესრიგდება სადრენაჟე სისტემა, პრობლემას ეშველება.

გთხოვთ ეს წერილი გამოაქვეყნოთ, რადგანაც ვისაც ეს საკითხი ევალება ეგების გულთან მიიტანოს მოხისელების პრობლემა და გულისტკივილი.

სოფელ მოხისის მცხოვრებლები:

ნაკაშიძეები, გოჩიაშვილები, ელიაშვილები, ამბოკაძეები, ხუციშვილები, მესხები, დიასამიძეები, ნავროზაშვილები.

სულ 48 ხელმოწერა.

7 თვითმმართველი ქალაქი სტატუსს კარგავს?

ფრთხილად,

ზუგდიდელებო, ოზურგეთელებო, გორელებო, თელაველებო, ახალციხელებო, მცხეთელებო და ამბროლაურელებო!

სამთავრობო ინიციატივის თანახმად, რომელსაც პროექტის სახე ჯერ არც მიუღია, 12 თვითმმართველი ქალაქიდან მხოლოდ 5 დარჩება. რას ემყარება მმართველი გუნდის გათვლები და რა არგუმენტებს უპირისპირებენ მას საზოგადოებრივი და მედიაორგანიზაციები?

„თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირება ერთმნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც თვითმმართველობის რეფორმის, ისე, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის“, — ნათქვამია 120 ორგანიზაციის სახელით გავრცელებულ განცხადებაში, რომლის ხელმომწერებიც მოუწოდებენ ხელისუფლებას, არ დაუშვას 2014 წლის შემდეგ შექმნილი თვითმმართველი ერთეულების გაუქმება და ადგილობრივი დემოკრატიის სტანდარტის გაუარესება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მისამართით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეფექტიანი თვითმმართველობის ჩამოყალიბება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო, მაგრამ თანახმად მმართველი პარტიის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებისა, მოსალოდნელია 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმება და, მაშასადამე, რეფორმის დეკლარირებული პრინციპებიდან გადახვევა. ერთ-ერთი ამ რიგის განცხადება მედიასთან ამ ცოტა ხნის წინათ დეპუტატმა გია ჟორჟოლიანმა გააკეთა: **„თვითმმართველ ქალაქებში ირჩევენ მერებს, სათემო მუნიციპალიტეტები რასაც ეწოდება, იქ ირჩევენ გამგებლებს. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ მოხდება გამსხვილება, ანუ დაბრუნება ძველი საზღვრებისა, მაშინ ეს სათემო მუნიციპალიტეტები იქნება და, ცხადია, იქ, აირჩევენ გამგებლებს“.**

ამ პირობით, თვითმმართველი ერთეულის სტატუსს დაკარგავენ ზუგდიდი, ოზურგეთი, გორი, თელავი, ახალციხე, მცხეთა და ამბროლაური. სტატუსს შეინარჩუნებენ თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი და ბათუმი. მმართველი გუნდის წარმომადგენლები მოსალოდნელ ცვლილებებს ძირითადად ფინანსური ხარჯების შემცირების აუცილებლობით ხსნიან, თუმცა ამბობენ იმასაც, რომ ცვლილება მხოლოდ ფართო საზოგადოების ჩართულობით განიხილება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, თავის მხრივ, საკითხისადმი ფრთხილი მიდგომის საჭიროებაზეც საუბრობს: **— საჭიროა ძალიან დეტალური მსჯელობა, თავის დროზე გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღებოდა ნაჩქარევად. როცა საქმე ეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, ძალიან მნიშვნელოვანია ფრთხილი მიდგომა. დეტალური მსჯელობის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ გადაწყვეტილების პლუსები და მინუსები — მათ შორის, ეკონომიკური ეფექტი, სოციალური ეფექტი და ასე შემდეგ — და ამის საფუძველზე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. შესაბამისად, დღეს ვერანაირი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ვერ გვექნება.**

რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტში კი კომისიის ფორმატში განიხილება 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმების საკითხი. შესაბამისად, როგორც მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერი ორგანიზაციის, „დემოკრატ მესხთა კავშირის“, ხელმძღვანელი გიორგი ანდღულაძე ამბობს, საზოგადოებრივი და მედიაორგანიზაციების მიმართვას ხელისუფლებისადმი აქვს ერთგვარი პრევენციის, გაფრთხილების ფუნქციაც — თვითმმართველი ქალაქების გაუქმება და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება შეაფერხებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის განვითარებასაც: **— მუნიციპალიტეტების გაერთიანება ყოველთვის იწვევს ხოლმე გადაწონვას, ასე ვთქვათ, მუნიციპალური ბიუჯეტისა ქალაქის მხარეს, იმიტომ, რომ ქალაქში მეტი მოსახლეობა ცხოვრობს, მეტ სერვისს იღებს სახელმწიფოსგან და ამიტომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ყოველთვის ცდილობს ხოლმე მეტად კმაყოფილი ჰყავდეს დიდი ქალაქის მოსახლეობა და ამ შემთხვევაში სოფლები ყურადღების გარეშე რჩებიან ხოლმე. გაყოფის შემთხვევაში, ვფიქრობ, ძალიან კარგი რამ გაკეთდა თავის დროზე, იმიტომ რომ მეტი ყურადღება მიექცა სოფლებს, მეტი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დაიწყო სოფლებში — ბაღები, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისები, რომლებიც სოფლებისთვის აქამდე ხელმიუწვდომელი იყო. ამათი გაერთიანება, ვფიქრობ, რომ ძალიან დააზარალებს მოსახლეობას“.**

გიორგი ანდღულაძის აზრით, თვითმმართველი ქალაქების სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის თავმჯდომარე დავით ლოსაბერიძეკი, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ შეუსაბამობები და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კეთდება არა მარტო უწყებრივ დონეზე, არამედ მოსალოდნელი ცვლილებების არსთან დაკავშირებითაც. მათ შორის, იგი ეჭვობს, რომ შესაძლოა, ხარჯების შემცირების ნაცვლად, არსებული პრაქტიკით, ადმინისტრაციულმა ხარჯებმაც მოიმატოს. შესაბამისად, დავით ლოსაბერიძისთვის საინტერესოა, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ დეკლარირებული დაპირება დეცენტრალიზაციის რეფორმის შემდგომი გაგრძელების შესახებ უკუმიმართულებით დატრიალდა. კითხვაზე კი, რას შეეძლო ეს გამოეწვია, იგი გვიპასუხებს: **„მე არ გახლავართ პოლიტიკოსი და პოლიტიკურ განცხადებებს ნამდვილად არ გავაკეთებ და შეფასებებს. აქ შეიძლება იყოს რამდენიმე მომენტი. ერთი, ეს არის შიდაპოლიტიკური საკითხები, ვთქვათ, თვითონ მმართველ გუნდს შორის, შიგნით. მეორე არის, ვთქვათ, გარკვეული ინტერესები, მე არ ვგულისხმობ მაინცდამაინც არაკანონიერს. ცენტრალიზაციის მომხრეები ყოველთვის ითხოვენ, რომ მთელი თანხები მათ ხელში იყოს თავმოყრილი, მთელი რესურსები და კონტროლი მათ ხელში იყოს თავმოყრილი“.**

დავით ლოსაბერიძე აღნიშნავს იმასაც, რომ მოსალოდნელი გამსხვილებით უკმაყოფილონი არიან შესაბამისი მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებიც. დაპირებული შემდგომი ტერიტორიული ოპტიმიზაციის ნაცვლად კი ცენტრალიზების მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებს, თავის მხრივ, ანტირეფორმად მიიჩნევს „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი, კოტე კანდელაკი. მისთვის თვითმმართველობების გამსხვილების გამართლება ხარჯების დაზოგვით გაუგებარია...

რეგიონალური განვითარების სამინისტრო კი, თავის მხრივ, ადასტურებს, რომ მსჯელობა გაყოფილი მუნიციპალიტეტების კვლავ გაერთიანების შესახებ დაწყებულია, თუმცა გაერთიანება გარკვეული პირობების აუცილებელი დაცვით მოხდება. კერძოდ, შეერთების შედეგად არ უნდა გაუარესდეს მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური მდგომარეობა, შესაბამისად უნდა დაბალანსდეს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, უნდა სრულვყოთ გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა და სხვ. სამინისტროს განცხადებაში აღნიშულია, რომ წარმოდგენილი ცვლილება არ შეეხება მერებისა და გამგებლების არჩევითობის საკითხს.

ნონა მჭედლიშვილი

ევროპელი სტუმრები საქართველოში მედიასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესდნენ

საქართველოში სამუშაო ვიზიტად მყოფი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებლები ბორის სილევიჩი და კერსტინ ლუნდგრენი საქართველოში მედიასთან დაკავშირებულ საკითხებს გაეცნენ. მაუწყებლის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა ნინო გოგუაძემ და გიორგი ხატიძემ ევროპელ სტუმრებს საზოგადოებრივ მაუწყებელთან და მედიაომბუდსმენთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდეს და იურიდიულ კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მიმართულებები გააცნეს.

„შეხვედრაზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შემოტანილ ინიციატივებზე ვიმსჯელეთ. მონიტორინგის კომიტეტის წევრებს მოვახსენეთ, რომ აღნიშნულ ინიციატივებთან დაკავშირებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულები არიან როგორც საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წევრები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ყველა შესაძლო ინიციატივასთან დაკავშირებით მსჯელობა ღიად და საჯაროდ მიმდინარეობს. ეს პროცესი კიდევ ერთხელ ცხადყოფს საქართველოში მედიაპლურალიზმის მაღალ სტანდარტებს“, — აღნიშნა გიორგი ხატიძემ.

ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ „საზმაუში“ სახელფასო ფონდი 25 000 ლარით გაიზარდა

საზოგადოებრივ მაუწყებელში ახალი მენეჯმენტის მოსვლიდან მხოლოდ 2 თვეში სახელფასო ფონდი თითქმის 25 000 ლარით გაიზარდა,ხოლო საერთო ხარჯები 200 000 ლარს ბევრად აღემატება, — ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი ჟურნალისტი და მედიის პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ლაშა მესხი ავრცელებს ინფორმაციას. მისი თქმით, წინა მენეჯმენტის პირობებში 2016 წლის მეოთხე კვარტალში, ოქტომბერსა და ნოემბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელფასო ფონდი 3 676 766 ლარი იყო, ახალი მენეჯმენტის პირობებში კი იანვრისა და თებერვლის თვეებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელფასო ფონდმა 3 701 096 ლარი შეადგინა. სხვაობა 24 330 ლარია და აღნიშნულ მონაცემებში არ შედის GDS-ის ყოფილი თანამშრომლების ანაზღაურება, რაც, ლაშა მესხის შეფასებით, სავარაუდოდ, თანხას გააორმაგებს.

რაც შეეხება საერთო ხარჯებს, ჟურნალისტის ცნობით, საერთო ჯამში წინა წლის 2 თვისა და ახლანდელი 2 თვის ხარჯები 216 513 ლარით არის გაზრდილი. კერძოდ, წინა მენეჯმენტის დროს მეოთხე კვარტალის საერთო ბიუჯეტი 5 611 105 ლარი, ხოლო ახალი მენეჯმენტის პირობებში პირველი კვარტალის საერთო ბიუჯეტი 5 827 618 ლარია.

„საზოგადოებრივ მაუწყებელში გრძელდება საბიუჯეტო თანხების ხარჯვის გზა. წინა მენეჯმენტის მანკიერი პრაქტიკა ამ დრომდე ძალაშია. მენეჯმენტი, რომელიც მაუწყებელში არსებულ კორუფციაზე და ე.წ. „კარმუშკაზე“ ღიად საუბრობდა, თავადვე უშვებს იმ შეცდომას, რომლის გამოსასწორებლადაც თითქოსდა თავად მოვიდა“, — განაცხადა ლაშა მესხმა პრეს-კონფერენციაზე.

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ!

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲡ ᲙᲘ 55 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲕᲖᲠᲓᲘᲗ

ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲕᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ **„Si Vis Pacem“-ᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡ.**

ᲕᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲘᲡ ᲝᲠ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲖᲔ ᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲖᲔᲪ. ᲒᲐᲛᲝᲕᲧᲝᲤ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ:

1. ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ �წᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲡ.

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲐᲜᲘᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲓᲒᲐᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲚᲡᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲨᲘ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ. ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲡ. ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲘᲒᲔᲜᲢᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲬᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲪ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲐᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡ.

2. ᲝᲠᲗᲐᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲗᲥᲕᲘ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲨᲚᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲐ, ᲐᲦᲐᲠ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲣᲛᲐᲠᲢᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲗᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲘᲡᲙᲐᲜᲡᲘᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲬᲐᲛᲝᲕᲬᲘᲔ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ? ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ ᲓᲘᲓᲫᲐᲚ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲛᲐᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲫᲚᲝᲜ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ �პᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲨᲘ (ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲨᲘ) ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲜᲝᲜ.

ᲛᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲠᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘᲐ. ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲨᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲔᲕᲐᲖᲔ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ. ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲢᲔᲑ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ. ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ 2004 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲝᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲧᲠᲐ. ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ. ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ, ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲠᲔᲕᲐ, ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲔᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲗᲐᲕᲑᲝᲚᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲙᲕᲔᲚᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲥᲘᲗ ᲐᲦᲔᲑᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲘᲠᲘ, ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ, ᲨᲔᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲘᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲪᲔᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲐᲓ. ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ (ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘ), ᲠᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲐᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲐᲠᲛᲘᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲗ ᲣᲞᲧᲠᲘᲐ ᲡᲐᲐᲦᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠ�გᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲮᲝ, ᲠᲐᲨᲘᲪ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ ᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲠᲐᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲡ, ᲐᲜ ᲐᲠ ᲫᲐᲚᲣᲫᲗ. ᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲒᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲩᲔᲛᲘ 9 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ.

* * *

ᲕᲔᲠ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ, ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲑᲘᲗ. ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲗ ᲕᲔᲠᲪᲔᲠᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲔ�გᲛᲐᲕᲓᲔᲡ (ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲕᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ. ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲐ). ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔᲪ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲒᲐᲕᲘᲛᲘᲝᲠᲔᲑ: ᲘᲛ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲧᲠᲓᲔᲡᲜᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲝᲠᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲡ, ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲠᲔᲑᲡ. ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲒᲔ�გᲛᲝᲡ 5-10 ᲬᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲔ�გᲛᲐᲖᲝᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲘᲕᲧᲕᲗᲝᲗ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲘᲒᲝᲜᲔᲑ, ᲔᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲐᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲜᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲕᲐᲫᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲒᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲨᲘ ᲙᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲘ

ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ დიდი სამეურნეო გამოცდილების მქონე ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, რომლის ისტორია ღვთივბოძებული ბუნებრივი სარჩოს რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვან ცოდნაზეა დაფუძნებული, რომელსაც ადამიანები ამა თუ იმ დარგის პროფესიონალები ქმნიან. მწერალი და პუბლიცისტი რევაზ თაბუკაშვილი ამბობდა – პატრიოტიზმი შენს საქმიანობაში პროფესიონალიზმიაო და ეს ჭეშმარიტებაა.

ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან შეხვედრისას შევიტყვე, რომ მის მშობლებს ვლადიკავკაზში ორი საცხობი ჰქონიათ და ახალგაზრდა ასაკში სწორედ პურის ცხობას ეზიარა. შესანიშნავად ერკვევა პურის ცხობის ნიუანსებში, ტექნოლოგიურ სქემებში და რაც მთავარია, ასეთი სიტყვა მითხრა „არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, შენი ნახელავი ყოველდღიურად შენს ხალხს მიაწოდო. ეს ხომ დიდი მადლია და გაუფრთხილდით ამ პროფესიას“... ამიტომაც გადავწყვიტე, წერილს სათაურად მისივე სიტყვები წავუმძღვარო...

წინა საუკუნის დასაწყისიდან კვების პროდუქტების წარმოებას თანდათან მიეცა ინდუსტრიული ხასიათი. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული პურ-პროდუქტების დარგია. პური პირველადი მოთხოვნილების პროდუქტია. პურისა და ღვინის მნიშვნელობა ქართველი კაცის რაციონში მეტად მნიშვნელოვანია.

ქალაქების ზრდასთან ერთად (თბილისი,ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და სხვა) დღის წესრიგში დადგა პურისა და პურეული პროდუქტებით საქარხნო წესებითა და მეთოდების დანერგვა-განვითარება, რომელსაც ადამიანები ქმნიან. სწორედ მათ შესახებ მინდა მოგაწოდოთ საინტერესო ინფორმაცია. საქართველოში 20-იან წლებში გაჩნდა პირველი მექანიზებული ქარხნები. 30-იან წლებში გაიხსნა მაკარონის ქარხანა. საინტერესო ისტორია გადახდა მის დირექტორს ალექსი ჯიქიძეს 1937 წლის 7 ნოემბერს... სადღესასწაულო პარადზე მაკარონის ქარხნის „პალტარატონკას“ ზედ ტრიბუნების წინ საბურავი დაეშვა. ქარხნის დირექტორი ალექსი ჯიქიძე როგორც „მავნებელი“ დაიჭირეს, თუმცაღა დახვრეტას გადაურჩა. ა. ჯიქიძეს დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტი, მისი თანაჯგუფელი გახლდათ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ალექსი კოსიგინი, რომელმაც თბილისში ჩამოსვლისას ა.ჯიქიძე მოიკითხა (1960)... გადასახლებას გადარჩენილი ჯიქიძე მოძებნეს და კვლავ „საქპურტრესტში“ დაასაქმეს, არაჩვეულებრივი, კეთილშობილი პიროვნება გახლდათ, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს გვიზიარებდა. ის პატრიოტი კაცი გახლდათ, თავის მშობლიურ სოფელ ხამშზე უზომოდ შეყვარებული.

პურ-პროდუქტების წარმოების ნაციონალური საინჟინრო სკოლა შექმნა ინჟინერ-კონსტრუქტორმა რაჟდენ გამსახურდიამ, რომლის კონსტრუქციის ღუმელები (რომელიც კონვეიერულად ბუნებრივ აირსა და ელექტროსანათურებზე მუშაობდა) თბილისში, მოსკოვში, ბაქოში, ერევანში, ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში დამონტაჟდა ნაციონალური ლავაშის ტიპის პროდუქციის საწარმოებლად. მსგავსი ღუმელები გაიყიდა აგრეთვე ბულგარეთში, პაკისტანში. რაჟდენ გამსახურდიამ თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმ დროისათვის ახალგაზრდა სპეციალისტების ჯგუფი, ადამიანები, რომლებმაც შემდგომში წარმატებულად დააგრძელეს მოღვაწეობა პურ-პროდუქტების სისტემაში. იმდენად უყვარდა ხაბაზის პროფესია, რომ ცუდი პურის მცხობელს ახლოს არ გაიკარებდა და სუფრაზე თავს არ გაუყადრიდა. შემდგომ წლებში დაწესდა გამსახურდიას სახელობის მედალი დარგში საუკეთესოთათვის. ნიშანდობლივია, რომ ამ მედლის პირველი მფლობელი გახდნენ მისი ერთგული მოწაფეები თემურ გაბიძაშვილი და ნოე მუსერიძე, ჯემალ მირზაშვილი,შოთა კარტოზია, გივი მაჩაბელი, ნოდარ სიხარულიძე, ბუკუ ბურჯანაძე, იოსებ კუხიანიძე და სხვ.

დიდი წვლილი შეიტანეს პურ-პროდუქტების დარგის განვითარებაში ისეთმა ხელმძღვანელებმა, როგორებიც იყვნენ შოთა ჭანუყვაძე, მან დასაბამი დაუდო წისქვილებისა და ელევატორების მშენებლობასა და ტირაჟირებას პერსპექტიული განვითარებით (მარნეულში, გორში, კახეთში). სწორედ მან მოიყვანა დარგში ფქვილის წარმოების მაღალი რანგის პროფესიონალი – დოქტორი, შემდგომში კორპორაციის ხელმძღვანელი ომარ კაციტაძე. ყველა დადებითად იხსენიებს დარგის ისეთ ხელმძღვანელს, როგორიც იყო ლონგინოზ ზაქაიძე. მან თავის გარშემო დარგის პროფესიონალები ამოიყენა – თამაზ ახალკაცი, რომელიც წისქვილების დიდი სპეციალისტია და პურის ცხობის ასევე მაღალი რანგის პროფესიონალი იური ოსიპოვი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა პურის ცხობის ნიუანსები. ის წარსულში მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი იყო ფარიკაობაში. ამ დღეებში მას 80 წელი შეუსრულდა და სულითა და გულით ვულოცავ ამ თარიღს. არ შეიძლება, არ გავიხსენოთ „საქპურტრესტის“ (ასე ერქვა სამმართველოს) ხელმძღვანელები ირაკლი მაჭავარიანი და საზოგადოება „თბილისელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დათო ციციშვილი, ოთარ იაშვილი, ანზორი ბურჯანაძე, ჯემალ კვირიკაშვილი, გივი ჯორჯაძე, ვანო ჯეჯელავა, ზურაბ საკანდელიძე, გურამ საღარაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ნოდარ ხოხაშვილი,ზურაბ ქარაბაკი, ცნობილი მიკრობიოლოგი, ქალბატონი მარგო ალასანია.

აუცილებლად უნდა მოგახსენოთ საქართველოში საფუარის წარმოების შესახებ, ქარხნის დირექტორი იყო ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვიტალი (ბიჭიკო) კვინიხიძე, მსგავსი ხელმძღვანელი და შეუპოვარი მეწარმე იშვიათად შემხვედრია. კვების მრეწველობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ გურამ მგელაძე, აგრეთვე ოთარ დავითაია.

ასევე შესანიშნავი პრაქტიკოსი ინჟინერი ჯიუ ლორთქიფანიძე, რომლის სახელს უკავშირდება „თემქაპურის“, ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი პურის წარმოების, მონტაჟი – გაშვება. პურ-პროდუქტების დარგში სახელმწიფო პრემია მიენიჭა №4 პურის ქარხნის მექანიკოს შოთა ნიავაძეს. ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენებენ „ქუთაისპურის“ ხელმძღვანელს ოთარ მაღლაფერიძეს, რომელიც სამაგალითო წარმოების ხელმძღვანელი გახლდათ. პურ-პროდუქტების დარგში ყოველთვის დიდი პატივისცემით იხსენიებენ ტექ. მეც. დოქტორს გივი გელენიძეს. მეხის გავარდნას უდრიდა ტექ.მეც. დოქტორის ლევან ჯიბუტის პრინციპული და გულახდილი წერილი დარგისა და სისტემის მანკიერ მხარეებზე, რომელიც ამ დროს ძალიან გაბედული ნაბიჯი გახლდათ. ის დღესაც გულშემატკივრობს საქართველოს პურის მრეწველთა კავშირს.

ურთულესი აღმოჩნდა საქართველოში 90-იანი წლები – ძმათა დაპირისპირება, ენერგოკრიზისი, პურის ნორმირება, უმძიმესი კრიმინოგენური გარემო... მიუხედავად ამ სიძნელეებისა, დარგში მომუშავე ადამიანებს ქვეყნისთვის, დედაქალაქისთვის შრომა, გარჯა და ერთგულება არ დაუკლიათ – „თემქაპურის“ გენერალურ დირექტორს იოსებ კუხიანიძეს, სპარტაკ გოგინავას – კრწანისიპურის გენერალურ დირექტორი, დიდუბის წისქვილის დირექტორს მერაბ ბერბერაშვილს, „აჭარპურის“ წამყვან სპეციალისტს ნოდარ გორგოშიძეს, რუსთავის ქარხნის დირექტორს გურამ ფირცხალაიშვილს, ზუგდიდის ქარხნის დირექტორს ტარიელ ქანთარიას, ქუთაისის წისქვილის დირექტორს თეიმურაზ შავგულიძეს.

პირველად საქართველოში კვების მრეწველობის სისტემის მუშაკები დაჯილდოვდნენ ქვეყნის უმაღლესი ორდენებით, რაც დარგისათვის მეტად პრესტიჟულია. ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ „თბილპურის“ ყოფილი გენ. დირექტორი ომარ კაჭარავა, რომელიც დღესაც მინისტრის თანაშემწეა და თავის ცოდნა-გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს, პურ-პროდუქტების დარგში ორი საბჭოთა კავშირის გმირი მუშაობდა, ორივე ყოფილი მფრინავი – შურა ინასარიძე და ზაქარია ხიტალიშვილი. მინდა, მადლიერება გამოვხატო შესანიშნავი ხელმძღვანელების მიმართ, ვისთვისაც პურ-პროდუქტების დარგი ერთ-ერთ უმთავრესი და პრიორიტეტულია. არც შემცდარან ამაში ჩვენი ცნობილი მოღვაწენი ბაკურ გულუა, რესან კონცელიძე და დავით კირვალიძე.

მალე აღდგომის დღესასწაული და ხსოვნის დღეები დადგება. მინდა, გავიხსენო ზაურ ლეჟავა, გოგი პაპავა, თემურ კენჭაძე, შოთა ალხაზიშვილი, გურამ მაზნიაშვილი, ზურაბ კვიტაშია, უჩა სხირტლაძე, გურამ ვარდიაშვილი, ეჟენ კუტალია, ლევან კიკვიძე, ლალი მესარქიშვილი, ლია არიშვილი, მარგო ღვთისიაშვილი, კარლო კუჭაიძე, ნოდარ ტრაპაიძე, გივი საბანაშვილი, ბიჭიკო ბერიძე, ანზორ მოდებაძე, ჯემალ მარკოზია, ემზარ პაპუაშვილი – ეს მცირე ჩამონათვალია იმ პროფესიონალებისა, ვინც დარგს ალამაზებდა თავისი შრომითა და ოსტატობით. აცხონოს ღმერთმა ისინი და ამ მადლიან დარგს არ მოშლოდეს კარგი ადამიანების თანადგომა.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲓᲔᲑᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ მუნიციპალიტეტებში შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობა გრძელდება. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ზანაქიძეებში გზების რეაბილიტაციის პროცესს დაესწრო, გაეცნო პროცესის მიმდინარეობას და მშენებლობაზე დასაქმებულებს და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა.

მახსოვს, წინასაარჩევნო პერიოდში ზუსტად ამ სოფელში ყოფნის დროს მოსახლეობის მოთხოვნა იყო სოფლის გაზიფიცირება და სრული დაქსელვა. ზოგს ჰქონდა განცდა, რომ მსგავსი პროექტები ბოლომდე არ იქნებოდა მიყვანილი, მაგრამ დღეს მიხარია, რომ აქ მთლიანად სრულდება გაზიფიცირების პროცესი, რის შედეგადაც ყველა ოჯახს ექნება გაზი. გარდა ამისა, მოეწყო ახალი მოედანი და გასართობი ატრაქციონი ბავშვებისთვის. სრულდება გზის დაგება. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში წელს დაგეგმილია 30 კმ-იანი გზის დაგება, ორი ახალი ხიდის მშენებლობა და 6 ახალი ხიდის რეაბილიტაცია. ასევე აშენდება 4 ახალი საბავშვო ბაღი. მაქსიმალურად გავაკონტროლებთ ყველაფერს და გავითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის ინტერესებს. ყველაფერს გავაკეთებთ რეგიონის საკეთილდღეოდ“, – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

სოფელ ზანაქიძეებში გზის 1 კმ-იანი მონაკვეთი იგება, რომლის ღირებულებაც 230 ათასი ლარია. სოფელში ამ დრომდე გრუნტის გზით სარგებლობდნენ, რომელიც უამინდობის დროს რთულად გასავლელი ხდებოდა.

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ რაიონში გზის დამჭერი საყრდენი კედლების მშენებლობა აქტიურად გრძელდება. ამ დროისთვის ინფრასტრუქტურული სამუშაოები 5 მისამართზე მიმდინარეობს: ინანიშვილის ქ. №4, უიარაღოს II შესახვევი №3-3ა, მაღაროს ქ. №8, ლოტკინის ხევი №38, ქსნის ქ. №12. სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ხდება მიწის დამუშავება-გატანა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მოწყობა და ლითონის დამცავი ღობის მონტაჟი. მიმდინარე პროექტებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ადგილზე გაეცნო.



„საკმაოდ რთულ სამუშაოს ასრულებენ კონტრაქტორი კომპანიები. განსაკუთრებით რთული ობიექტია ინანიშვილის №4, სადაც კლდის ხელით დამუშავება უწევთ მშენებლებს. ასეთი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია მოსახლეობის და საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისთვის“ – განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა. მიმდინარე პროექტების საერთო ღირებულება 199 633 ლარია. აღნიშნული მისამართების გარდა, კედლების მშენებლობა დაიწყება კიდევ 6 მისამართზე. ასევე, წლის ბოლომდე ტენდერის გამოცხადება იგეგმება 10-მდე საყრდენი კედლის სამშენებლო სამუშაოებზე.

ქართული საოპერო სცენის უნაზესი იადონი

გონებაში გაცოცხლებული დიდი მომღერალი მერი ნაკაშიძე

კულისებში შიშნარევი ნერვიულობისგან აღელვებული დავდივარ. დამწყები მომღერლისთვის საპასუხისმგებლო გამოსვლა მაქვს. გამოდიან ცნობილი მომღერლები, ზოგი რას ასრულებს და ზოგი რას. გამომსვლელებს შორისაა აღიარებული და ყველასთვის საყვარელი მომღერალი მერი ნაკაშიძე. ასეთი მომღერლის გვერდით გამოსვლა და სიმღერა ჩემთვის დიდი პატივია. მერი ნაკაშიძის გასაოცარ ხმაზე შეყვარებულს, მაინტერესებს მისი ცოცხლად მოსმენა.

სკამზე ჩამომჯდარი ქალბატონი მერი ფიქრებში წასულა, ალბათ, გონებაში შესასრულებელ ნაწარმოებს თუ იმეორებს. მღელვარება ეტყობა, მაგრამ არა ჩემნაირი. ეს პროფესიული მღელვარება გახლდათ, მაყურებლის წინაშე პასუხისმგებლობით გამოწვეული. ესეც ხელოვანის თანმდევი აუცილებლობაა... ლეგენდარული ენრიკო კარუზოც კი თავის მემუარებში აღნიშნავს: ,,კულისებში თავად მეც არაერთხელ განმიცდია სცენის მიმართ გარკვეული მღელვარება და ციებ-ცხელება, ეს მეტ-ნაკლებად ყველა მომღერლის ცხოვრების აუცილებელი მომენტია“.

სულ მალე ქალბატონი მერის გამოსვლის ჯერიც დადგა. დარბაზი მას ტაშით შეხვდა. ასრულებს შტრაუსის ცნობილ ,,ვალსს“. ჩემი ყურადღება მიიპყრო სცენაზე დგომის მისმა მანერამ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს-ესაა უნდა აფრინდეს, ჰაერში უნდა აიჭრასო. სიმღერის დროს საინტერესო იყო მისი სხეულის მდგომარეობა, ღიმილიანი და გაცისკროვნებული სახე. მომეჩვენა, რომ მას რაღაც თავისებური პოზა ჰქონდა მოძებნილი, რა დროსაც იგი თავისუფლად და კომფორტულად გრძნობდა თავს. გაისმა ულამაზესი პირველი ბგერები, მერი ნაკაშიძის კოლორატურული ხმა დამაჯერებლად, მსუბუქად და ჰაეროვნად ულერდა. ხმის ტემბრი და სხივოსნობა შთამბეჭდავი იყო, თავისი უზადო მაღალი ნოტებით, ფილირებით და სტოკატოებით. ყველაფერ ამას ამშვენებდა მისი გარეგნობა და საოცარი აქტიორული გარდასახვა. სიმღერა დასრულდა. მაყურებელმა ოვაციით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ხელოვანისადმი. მეც თავდაუზოგავად ვუკრავდი ტაშს...

გონებაში მომენტალურად გამიელვა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ბელკანტოს იტალიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, კოლორატურულმა სოპრანომ ადელინა გალი-კურჩმა. მათ შორის მსგავსება აშკარა იყო. გალი-კურჩმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმის დროს, მერი ნაკაშიძეს სულ რაღაც ერთეულ შემთხვევებში მიეცა საზღვარგარეთ გამოსვლის საშუალება, თორემ ღრმად ვარ დარწმუნებული, თავისი შესაძლებლობით საერთაშორისო სახელს დაიმკვიდრებდა.

ერთობ საინტერესოა ქალბატონი მერის ბიოგრაფია. იგი 1914 წელს დაიბადა ქიზიყის ულამაზეს ქალაქ სიღნაღში. მან ჯერ კიდევ ბავშვობიდან სასკოლო გუნდში გამოამჟღავნა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭიერება. მოსმენისთანავე კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემ ურჩია კონსერვატორიაში ჩაებარებინა. და აი, შესანიშნავი მონაცემების მქონე მერი ნაკაშიძე 1931 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორ ოლღა ბახუტაშვილ-შულგინას კლასში აღმოჩნდა და აღიარებული პედაგოგის ხელმძღვანელობით ხმის დამუშაების და გაწვრთნის რთულ გზას დაადგა. მარტო ადამიანის ნიჭიერება არაა საკმარისი წარმატების მისაღწევად, თუ მას არ ახლავს თავდაუზოგავი შრომა. მალე მერი ნაკაშიძე პედაგოგის საინიმუშო სტუდენტი ხდება, რაც კონსერვატორიაში გამართულ საანგარიშო კონცერტზე სერიოზული ვოკალური ნაწარმოებების შესრულებით დადასტურდა. შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იყო და მალე ის მუსიკოს შემსრულებელთა მეორე საკავშირო კონკურსში იღებს მონაწილეობას.

მიმდინარეობდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების პირველი დეკადისთვის მზადება, რომელიც მოსკოვში ტარდებოდა. კონსერვატორიის მე-5 კურსის სტუდენტი მერი ნაკაშიძე უკვე 1936 წელს ჩარიცხეს თბილისის ოპერის თეატრის დასში და მოსკოვში გასამართი დეკადის პროგრამის მომზადებაში ჩართეს. ცნობილი დირიჟორის ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით მას დაეკისრა მაროს და ქეთოს პარტიების შესრულება ოპერებში — ,,დაისი“ და ,,ქეთო და კოტე“. დეკადა თავისი მასშტაბურობით მართლაც უდიდესი მოვლენა იყო, აქ სრულად წარმოჩინდა ქართული ხელოვნების სახე და დონე, თავი ისახელეს ქართველმა შემსრულებლებმა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი მერი ნაკაშიძე გახლდათ. მოსკოველმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა ქართველ მომღერალს. ეს იყო შემოქმედებითი წარმატებით გამოწვეული მღელვარე და დაუვიწყარი დღეები. მისი გამოსვლით აღფრთოვანებულმა ნემიროვიჩ-დანჩენკომ საჯაროდ განაცხადა: ,,მე მხიბლავს მერი ნაკაშიძის ჰაეროვანი ხმა და მისი შთაგონებული თამაში“. იმ პერიოდში გავრცელდა პოპულარული ლექსი — ავტოგრაფი — „Мери душка, Мери свет, Мери розовий букет“... უკვე მოგვიანებით მოსკოვში, მეორე დეკადის საკონცერტო ნაწილში მერი ნაკაშიძემ დიდი ბრწყინვალებით იმღერა შტრაუსის ნაცნობი ,,ვალსი“, რითაც ამ ურთულესი ნაწარმოების საუკეთესო შემსრულებლის საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

დროთა ვითარებაში მისი რეპერტუარი მდიდრდებოდა ახალ-ახალი პარტიებით: ჯილდა და ვიოლეტა — ჯ. ვერდის ,,რიგოლეტოდან“ და ,,ტრავიატადან“; როზინა — ჯ. როსინის — ,,სევილიელი დალაქიდან“; ლაკმე — ლ. დელიბის ამავე სახელწოდების ოპერიდან. მარფა ნ. რიმსკი-კორსაკოვის ,,მეფის საცოლიდან“; მარიხი და ლატავრა — ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერიდან“ და ,,ლატავრადან“; ცირა — მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერიდან“. მზია და ბულბული — ა. ანდრიაშვილის „ჩხიკვთა ქორწილიდან“ და ,,კაკო ყაჩაღიდან“ და სხვა, რომლებიც მკვეთრად გამოირჩევიან ნაკაშიძისეული თვითმყოფადი ვოკალური შტრიხებით და ნიუანსებით, რაც მის მიერ შესრულებულ სახეებს ათავისუფლებს ერთფეროვნებისა და შაბლონურობისგან. იშვიათად შეიძლება მოიძებნოს ასეთი თავისუფალი ჟღერადობის ხმა, ასეთი ლამაზი ბგერა, ინტონაცია და კანტილენა.

ყველაფერი ეს კი მერი ნაკაშიძის იშვიათ, ბუნებით ნაბოძებ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს. მის სპექტაკლებს და საკონცერტო გამოსვლებს არ მოჰკლებია მაყურებლის ოვაცია და ტაში. შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი გულშემატკივარი, წარმოდგენის შემდეგაც დიდხანს არ ტოვებდა თეატრს: — როგორ შესანიშნავად მღერის? რა ლამაზად ჟღერს მისი ხმა! — ისმოდა აღფრთოვანებულთა შეფასებები.

ოპერის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ მერი ნაკაშიძე მთლიანად გადადის საკონცერტო მოღვაწეობაზე, ხშირად იხილავდით მას ესტრადაზე. სწორედ აქ მონახა მან თავისი გამორჩეული ადგილი. უხვი და ფართო იყო მისი კამერული რეპერტუარი. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ხშირად გამოდიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მერი ნაკაშიძის მიერ ი. შტრაუსის ვალსების შესრულება სიმღერის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. შთამბეჭდავი და სულიერად ამაღელვებელი იყო მისი მაღალი პროფესიონალიზმით და უნიკალური მშვენიერებით გადმოცემული ალიაბიევის ,,ბულბული“ და ბრუსილოვის ,,ორი მერცხალი“, ანუ ის სიმღერები, რომლებიც მომღერლის ხმის უმდიდრესი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას იძლეოდა.

მისი სიმღერით მოხიბლულმა იოსებ გრიშაშვილმა მერი ნაკაშიძეს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

„მერცხალმა თქვა: „ეს ვინ არის,
სარკმელთან რომ მღერის“
აჭიკჭიკდა, შეეჯიბრა
ნაკაშიძე მერის.
მაგრამ იგრძნო, რომ მერივით
ვერ იტყოდა სათქმელს,
დაირცხვინა, დაიკვნესა
და მოშორდა სარკმელს“.

იმ დროს ერთი ასეთი ორიგინალური კონცერტი — საღამო შედგა ფილარმონიის საზაფხულო თეატრის სცენაზე. ორგანყოფილებიან კონცერტში, საინტერესო პროგრამით, მაყურებლის წინაშე ორი კოლორატურული სოპრანო წარსდგა: გასული საუკუნის 50-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მომღერალი, სომხეთის სახალხო არტისტი, იტალიიდან დაბრუნებული გოარ გასპარიანი და საქართველოს სახალხო არტისტი მერი ნაკაშიძე. ეს შეხვედრა რაღაც ერთგვარ შემოქმედებით პაექრობაც კი წააგავდა. ამ ორმა შესანიშნავმა მომღერალმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდო. გასპარიანმა საზოგადოება განაცვიფრა თავისი საშემსრულებლო ტექნიკით, რომელიც განსაკუთრებით მაღალ რეგისტრში იგრძნობოდა, ხოლო ნაკაშიძემ მსმენელი მოხიბლა ფრაზის კანტილენით, თბილი და ლამაზი ბგერებით. შეიძლება ითქვას, რომ იმ საღამოს ორივე გამარჯვებული გამოვიდა. დამსწრე საზოგადოებამ ღირსეულად შეაფასა მათი სასიმღერო ხელოვნება და ორივე გულწრფელი ტაშითა და ოვაციით დაჯილდოვა.

მერი ნაკაშიძის გამორჩეული ხმა და სიმღერა უკვდავყოფილია რამდენიმე ქართულ ფილმში. მან წარმატებით იმღერა ქეთოს პარტია 1948 წელს შექმნილ ფილმში ,,ქეთო და კოტე“. ფილმის რეჟისორის **ვახტანგ ტაბლიაშვილის** შეფასება მერი ნაკაშიძის სასიმღერო სტილის შესახებ მართლაც შთამბეჭდავი და ბევრის მთქმელია: ,,... არ ვიცი არსებობდა თუ არა ბროლის ზარები, მაგრამ რატომღაც ასე წარმომიდგენია, რომ ბროლის ზარივით რეკდა მისი ხმა. შეყვარებული ვიყავი მის ხმაზე... კინოფილმ ,,ქეთო და კოტეში“ ქეთოს პარტია მერის ჩავაწერინე. როდესაც ფილმს ვუყურებ, მიხარია, რომ იქ ისმის მისი უნიკალური ხმა“.

ნოდარ ანდღულაძე: ,,...იგი იყო უნაზესი იადონი ქართული საოპერო სცენისა. მისი ტემბრი ერთმნიშვნელოვანი სიტყვით, ძალიან ძნელი აღსაწერია. იმდენად მდიდარი იყო მისი ელფერი, მისი მრავალფეროვანი პალიტრა, მისი ხმა გაკავშირებდათ სამყაროს ულამაზეს სიმებთან. ეს ლირიზმი მას მუდამ თან სდევდა...“

გიგა ლორთქიფანიძე: ,,...მასზე მთელი ჩვენი თაობა შეყვარეული იყო, ჩვენს კერპს და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა. მე პირადად მოწმე ვარ მოსკოვში მისი ტრიუმფალური გამოსვლისა 1958 წელს დეკადის საზეიმო კონცერტზე..“

დიდიმ მირცხულავა: ,,...მერი ნაკაშიძეს შეეძლო ბევრი ცნობილი ვოკალისტისთვის შეუძლებელი პიანისიმო, კრისტალური სიფაქიზით აეჟღერებინა...“

,,იგი ოჯახურ სიტუაციაში იყო უაღრესად თბილი, მოსიყვარულე და მომფერებელი — იგონებს ქალბატონი მერის ქალიშვილი ილტანა, — როცა ქუჩაში გაჭირვებული ადამიანი ხვდებოდა, თუ იმ მომენტში არაფერი ჰქონდა, მეორე დღეს სახლში იბარებდა, რომ რაღაცით ხელი გაემართა. სრულიად უცნობ არაერთ პიროვნებას დახმარებია უანგაროდ ზედა ინსტანციებში „საქმის ჩასაწყობად“. ქუჩაში თითქმის ყველა ესალმებოდა, მის მიმართ განსაკუთრებულ ადამიანურ სითბოს ამჟღავნებდა“.

მერი ნაკაშიძეს ბოლომდე შემორჩა ხმის განსაკუთრებული სითბო და პროფესიული თვისებები. იგი თავის მოგონებებში წერს: ,,მთელი ჩემი ცხოვრებითა და შემოქმედებით ჩემს ხალხს ვეკუთვნოდი, ჩემს ხალხს ვემსახურებოდი, და ამით უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე, ძნელი წუთებიც მქონია, ვთვლი, რომ მაინც ბედნიერად ვიცხოვრე, რადგან თავდავიწყებით მიყვარდა ჩემი საქმე. იმავეს ვუსურვებ ჩვენს ახალგაზრდობას, რომ ისევე უყვარდეთ თავიანთი საქმე, როგორც მე მიყვარდა და მეყვარება სიცოცხლის ბოლო ამოსუნთქვამდე...“

სახელოვანი სახალხო არტისტი გახლდათ ვოკალისტთა რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. გარდაიცვალა 1986 წელს, 72 წლის ასაკში. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას და მე-17 სამუსიკო სკოლას.

2004 წელს თბილისის საოპერო თეატრში გაიმართა მერი ნაკაშიძის დაბადებიდან 90, ხოლო 2014 წელს კონსერვატორიაში 100 წლის საიუბილეო საღამო.

წარსული ყოველთვის გვახსენებს თავს და მოგონებათა ბურუსში შიგადაშიგ ამოტივტივდება ხოლმე. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ საშუალება მქონდა სცენაზე მეხილა და აღფრთოვანება განმეცადა გასაოცარი ვოკალური მონაცემების და მომხიბლავი გარეგნობის მქონე მომღერლის მერი ნაკაშიძისგან, რომელსაც ჭეშმარიტად ღირსეული ადგილი უკავია ქართული საოპერო თუ საესტრადო ხელოვნების მატიანეში.

გელა ძოძიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი,

ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

მაინც რა „დაჯდა“ რევოლუცია?

ზუსტად ერთი საუკუნე გავიდა 1917 წლის რუსეთის უკიდეგანო იმპერიის დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში განვითარებულ მრისხანე, ავბედით, მღელვარებით აღსავსე მოვლენათა შემდეგ, როცა ბოლშევიკთა მიერ მოწყობილ, მომავალში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელით მონათლულ უბედურებას, „თებერვლის გენერალური რეპეტიცია“ უწოდეს. მაშინ „პირსისხლიანი“ ნიკოლოზ II ჩამოაგდეს, მაგრამ ამბოხის შედეგებით, როგორც ეს ჩვეულებრივ ამგვარი მოვლენების დროს ხდება ხოლმე, სხვებმა ისარგებლეს. თუმცა კი არც მათი აღზევება გაგრძელებულა დიდ ხანს, მალე ხელისუფლებას ერთი შეხედვით რევოლუციის ჭეშმარიტი სულისჩამდგმელნი, ბოლშევიკები დაეუფლნენ — ყოველ შემთხვევაში ასე ქადაგებდნენ 70 წლის მანძილზე ისტორიის სხვადასხვა დონის სახელმძღვანელოები, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცოდა (და, დარწმუნებული ვართ, ახლაც ასეა), რომ მეფის მთავრობას ბოლშევიკებზე ბევრად უფრო სახიფათო და ძლევამოსილი მტერი იმხანად ნავთობის მაგნატების ნობელების კლანი იყო.

ნობელების კლანის ერთ-ერთმა გამორჩეულმა წარმომადგენელმა ალფრედმა დინამიტი მოიგონა და თავისსავე სახელობის, სადღეისოდ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პრემიის დამაარსებელი გახდა. მამამისი — ემანუილ ნაიბლ-უფროსი, საზღვაო ნაღმების შემქმნელი, დიდი ხნის მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა და სამხედრო სამინისტროსთან თანამშრომლობდა. მაგრამ 1859 წელს მან თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და სამშობლოში, შვედეთში დაბრუნდა, თუმცა კი მის შვილებს, ალფრედის ძმებს რობერტსა და ლუდვიგს, მაინც სჯეროდათ, რომ რუსეთის იმპერიაში წარმატების მიღწევას შეძლებდნენ და აკი არც შემცდარან.





ბაქოს ქარხნები

1873 წელს რობერტ ნობელი ბაქოში ჩავიდა, სადაც უმალ მიხვდა, რომ იქ ნავთობზე უზარმაზარი ფულის შოვნა შეიძლებოდა. საქმე ისაა, რომ უკვე იგრძნობოდა ნავთობის ბუმის მოახლოება, ადგილობრივი ხელისუფლება კი სრულიად ეგუნურად იქცეოდა — ძვირფასი ნედლეული... ურმებით გადაჰქონდათ, გადაზიდვის მოდერნიზებაზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ... სწორედ ამ „წმაგებიან“ საქმეში დააბანდეს ნობელებმა დიდძალი სახსრები, თუმცა კი რამდენიმე წლის მანძილზე გაკოტრების პირზე თავის შენარჩუნებას დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ. სწორედ ეს გახდა მათი როტშილდების ბანკირების კლანთან სტრატეგიული ალიანსის მიზეზი. წვრილი და საშუალო მწარმოებლებისგან ისინი ნავთობს დაბალ ფასად ყიდულობდნენ, შემდეგ კი ფასს მკვეთრად უმატებდნენ. ბუნებრივია, რომ ნავთობის უზარმაზარი რეზერვუარების — 100 მილიონ ფუთზე მეტის! — მფლობელებთან „წვრილფეხობა“ ვერაფერს გახდებოდა!

ამის გამო იყო, რომ საქმეში თავად იმპერატორი ალექსანდრე III ჩაერია, რომელიც პირადად ჩავიდა ბაქოში, ოღონდ არა მაგნატებისთვის სარფიანი ბიზნესის ჩამოსართმევად, არამედ... რუსეთის მოქალაქეობის მოთხოვნით. ძმებმა მოთხოვნა შეასრულეს, არსებითად კი არაფერი შეცვლილა. მეტიც: როტშილდების მხარდაჭერით ისინი ნავთობის მსოფლიო ბაზრის ბატონ-პატრონების, ჰოლანდიურ-ბრიტანული და ამერიკული კომპანიების „შელისა“ და „სტანდარტ ოილის“ მძლავრ და უაღრესად არასასურველ კონკურენტებად იქცნენ. ამიტომაც მათ ნობელებს შეთანხმება — რუსეთის ნავთობის წარმოების... დაქცევა — შესთავაზეს, სანაცვლოდ „წილში“ გაიყვანდნენ.

ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით განვითარდა — 1904 წლის დეკემბერში დაიწყო ბაქოს ცნობილი გაფიცვა, რეგიონს კი ნავთობის საბადოების დარბევის ტალღამ გადაუარა, რომელთა ორგანიზატორები თავად... ნობელები იყვნენ. სწორედ მათი ფულით იბეჭდებოდა პროკლამაციები, პროპაგანდისტულ-წამქეზებლურ მოღვაწეობას ეწეოდა ესერთა მოძრაობის იდეოლოგი მარკ ნატანსონი, რომელიც საამისოდ ბაქოში საგანგებოდ ჩავიდა.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამბოხის მოსაწყობად ნობელებს მაინცდამაინც დიდი ძალისხმევის გამოჩენა არც დასჭირვებიათ, რადგან მუშები ნამდვილად გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ: ისინი 100-კაციან ბარაკებში იყვნენ შეყრილები და დღე-ღამეში 12-15 საათს მუშაობდნენ, რაშიც მწირ გასამრჯელოს იღებდნენ. ამიტომაც, ამბოხზე მათი წაქეზება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რის შედეგად ნავთობის ჭაბურღილების 60 პროცენტზე მეტი განადგურდა, ამდენად ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საფრთხე აღარ ემქურებოდა. არადა, ამ არეულობაში ნობელების ქონებას ზიანი თითქმის არ განუცდია, გაწეული სამსახურის საფასურად კი ისინი უფრო მომძლავრდნენ და „სუფრასთანაც“ მიუშვეს.

ამდენად, 1912 წლისთვის რუსეთის მთელი ნავთობის ბაზარი ნობელების ხელში იყო, სხვებს ამ ბიზნესში მხოლოდ აგენტების სტატუსით შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა. ეს კი იმის მიზეზი გახდა, რომ პეტერბურგში მათი მოთოკვა გადაწყვიტეს, რა მიზნითაც იქაური ბანკები, სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ, აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენას შეუდგნენ. ბუნებრივია, რომ ამ შეტევას ნობელები მთელი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი აქტიურად აფინანსებდნენ სახელმწიფო სათათბიროს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას. ნობელებს მსოფლიოს საფონდო ბირჟებმაც დაუჭირეს მხარი — ლონდონმა, ბრიუსელმა, პარიზმა... ზოგიერთებმა დაბლოკეს გარიგებები მათ აქციებზე. მთელი ამ ხნის მანძილზე ეს შემადგენლობით ჭრელი ოპოზიცია მმართველობის პარალელურ სტრუქტურებს აყალიბებდა, მასონთა გავლენიანმა ლოჟამ „რუსეთის ხალხთა დიდმა აღმოსავლეთმა“ კი 1912 წელს მონარქიის ლიკვიდაციის კურსი გამოაცხადა. ნობელები უხვად აფინანსებდნენ ყველას, ვინც კი მათ შეიძლებოდა მომავალში გამოდგომოდათ — კადეტებს, ესესებს, სოციალისტებს.

1916 წელს ცხადი გახდა, რომ სახელმწიფომ წააგო, ნობელების აქციების შეძენის გეგმა ჩავარდა. იმის გამო კი, რომ როტშილდების მხარდაჭერით ზურგგამაგრებული ნობელების ხელისუფლებასთან ჭიდილს თვალყურს ყველა ადევნებდა, ოპოზიციამ ნიშანი მიიღო: მთავრობა უაღრესად დასუსტებულია. დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

პეტროგრადში სახალხო მღელვარება უპურობის გამო დაიწყო, რაც მთელი მსოფლიო ომის განმავლობაში არ მომხდარა. არადა, იმ დროს პურის სულ მცირე ორი კვირის მარაგი იყო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, პურით დატვირთული მატარებლები მეფის მოხელე იური ლომონოსოვმა დაბლოკა. მას საგზაო ინჟინერი ალექსანდრე ბუბლიკოვი ეხმარებოდა, რომელმაც 1917 წლის 8 მარტს პირადად დააპატიმრა ნიკოლოზ II.

ბოლშევიკების მმართველობის ხანაში, 1919 წელს, ლომონოსოვს ოქრო ჩააბარეს და ამერიკის შეერთებულ შტატები ორთქლმავლის შეძენა დაავალეს. მან ოქრო დიდ ფულად გაყიდა, ორთქლმავლები კი მამასისხლად... შვედეთში იყიდა. რატომ არ დახვრიტეს ის ამის გამო, სრულიად გაუგებარია, როგორც ჩანს, მან საჭირო ხალხი „გაიყვანა საქმეში“. 1927 წელს, დიდ ბრიტანეთში მივლინებაში ყოფნისას, მან პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. გარდაიცვალა 1952 წელს კანადაში.

ინჟინერი ბუბლიკოვი კი 1917-ის სექტემბერში საფრანგეთში გაიქცა, იქიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდა, სადაც 1941 წელს ნიუ-იორკში გარდაიცვალა. ყველაფერი ხელოვნურად მოეწყო, თანაც ისეთ კრიმინალურ ნიადაგზე, რომ დარბევების მოწყობაში თავდაპირველად... მეძავები და მათი სუტენიორებიც კი იყვნენ ჩართულნი(!). ბოლო წერტილი ამბოხს მეფის ყოყმანმა და პოლიციის სისასტიკემ დაუსვა. აჯანყებულთა მხარეს გადასვლა ჯარისკაცებმაც დაიწყეს. მათ შორის პირველი, ვინც მეამბოხეთა მხარეს თავისი ნაწილით გადავიდა, უნტერ-ოფიცერი ტიმოთე კირპიჩნიკოვი იყო, რომელმაც თავისი კაპიტანი მოკლა. დროებითმა მთავრობამ იგი გიორგის ჯვრითაც კი დააჯილდოვა. 1917 წლის ნოემბერში მან ამბოხის წამოწყება სცადა ბოლშევიკების წინააღმდეგ, წარუმატებლობის შემდეგ მდინარე დონზე გაიქცა, სადაც იმხანად თეთრი გვარდიის რაზმები ყალიბდებოდა, სადაც თავი თავისუფლებისთვის მებრძოლ „იმ კაცად“ წარადგინა. ეს ამბავი შეიტყო თუ არა, პეტროგრადში თვითმპყრობელობის ერთ-ერთი ბოლო დამცველის, პოლკოვნიკ ალექსანდრე კუტეპოვის ბრძანებით, იგი იმწამსვე დახვრიტეს, ცხედარი კი გზისპირა რუში გადააგდეს.

ამდენად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლიბერალური ოპოზიცია რომანოვების სამსაუკუნოვანი მმართველობის დამხობას ზეიმობდა — ახლა არა ჩამყაყებული დიდგვაროვნები, არამედ ისინი, თანამედროვე, განათლებული, შემოქმედებითი გეგმებით აღსავსე დემოკრატები წარუძღვებიან უზარმაზარ დერჟავას!

9 მარტს ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომა გაიმართა, პრეზიდიუმის საპატიო ადგილზე კი ემანუილ ნობელ-უმცროსი იჯდა, ამ გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი გამარჯვებული და სპონსორი. იმ დროისთვის მისი კომპანია რუსეთში ყველაზე ძვირად ღირებული იყო — მისი აქციების ფასმა უზომოდ იმატა.

მაგრამ მაშინდელ ტრიუმფატორებს საშინელ სიზმარშიც არ დაესიზმრებოდათ, რომ ლიბერალ მეოცნებეთა, ცინიკოს ბანკირთა, პოლიტიკურ ავანტიურისტთა და ხარბ ოლიგარქთა ამ ხელისუფლებას ერთიანად წალეკავს შეუდარებლად უფრო მძვინვარე და საშინელი ოქტომბრის ამბოხი.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ისრაელი გაეროში საწევროს აღარ შეიტანს

ამის მიზეზი უშიშროების საბჭოს მიერ ისრაელის საწინააღმდეგო რეზოლუციების მიღება გახდა. ყოველწლიურად ისრაელს გაეროში 11 მილიონი დოლარი შეაქვს. ებრაული მხარის განცხადებით, ეს თანხა ისრაელის მეგობარ განვითარებად ქვეყნებს მოხმარდება.

დონალდ ტუსკი ვარშავის პროკურატურაში დაიბარეს

ევროპის საბჭოს პრეზიდენტი და პოლონეთის ექსპრემიერი დონალდ ტუსკი ვარშავის საოლქო პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. ტუსკი პროკურატურაში 19 აპრილს უნდა გამოცხადდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტუსკი დაკითხვაზე მისვლას აპირებს, თუმცა ვარშავის პროკურატურის ცნობით, მათ ტუსკისგან ოფიციალური დადასტურება ჯერ არ მიუღიათ.

ევროპის საბჭოს პრეზიდენტი დაკითხვაზე პოლონეთის სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელებისა და რუსეთის ФСБ-ს შორის თანამშრომლობის საქმეზეა დაბარებული, რომელიც პოლონეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშე ხდებოდა.

პროკურატურის ცნობით, დონალდ ტუსკი ამ საქმეზე მოწმის სახით არის დაბარებული. გამოძიების სხვა დეტალები ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

ტრამპის რეიტინგი დაეცა

დონალდ ტრამპის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა. მორიგი სოციოლოგიური გამოკითხვა გელაფმა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებით, თეთრი სახლის ლიდერს მხარს ამომრჩეველთა 35 პროცენტი უჭერს, 59 პროცენტი კი მისი პოლიტიკის წინააღმდეგია. სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში 1500-მდე ადამიანი გამოიკითხა.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)
კრედიტის/სესხის №: IBRD 8599-GE
პროექტის №: P149953

დავალების სახელწოდება: საგზაო ქსელის შეფასება, დეტალური პროექტის მომზადება, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონში რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის განსახორციელებლად და მონიტორინგის/სახედამხედველო მომსახურების გაწევა

კონტრაქტი/RFP №: SRAMP/CS/QCBS-01
საიდენტიფიკაციო №: SRAMP III PP, პუნქტი 1.3

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"საგზაო ქსელის შეფასება, დეტალური პროექტის მომზადება, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტების და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება გურიის რეგიონში რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის განსახორციელებლად და მონიტორინგის/სახედამხედველო მომსახურების გაწევა"**.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება მსგავსი დავალებების განხორციელებაში, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმებია

1. მსგავსი გამოცდილება როგორიცაა:

1.1 ტექნიკურ–ეკონომიკური დასაბუთების/შეფასებების მომზადება (მათ შორის სატენდერო დოკუმენტაციის/კონტრაქტების მომზადება) რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტებისთვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად წარმატებით დასრულებული 2007 წელს ან მას შემდეგ.

1.2 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტის მომზადება საშუალო ზომის საგზაო პროექტებისთვის დასრულებული 2007 წელს ან მას შემდეგ.

1.3 დეტალური პროექტის მომზადება ასფალტის საფარიანი გზების მშენებლობისთვის/რეაბილიტაციისთვის ევროპული სტანდარტების შესაბამისად წარმატებით დასრულებული 2007 წელს ან მას შემდეგ.

1.4 მონიტორინგი/ზედამხედველობა რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტებისთვის, რომელიც მოიცავს გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების ზედამხედველობას, რომელშიც ანაზღაურება ხდება წინასწარ დადგენილი მომსახურების დონის შესრულების შესაბამისად წარმატებით დასრულებული 2007 წელს ან მას შემდეგ.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 წელი და 11 თვე, მათ შორის პირველი 11 თვე განკუთვნილია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, დეტალური პროექტის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტების და სატენდერო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. ამის შემდეგ, დამქირავებელი განახორციელებს სატენდერო პროცედურებს სამუშაოების კონტრაქტის შესასყიდად და კონტრაქტორის შესარჩევად, რის შემდეგაც კონსულტანტი დაიწყებს 3-წლიან მონიტორინგს/ზედამხედველობას სამუშაოებზე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – 'მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]' (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთაინდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 40 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და დირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2017 წლის 21 აპრილის, 17:00 საათისა**.

საკონტაქტო პირი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Secondary Roads Asset Management Project (SRAMP)
Credit/Loan No: IBRD 8599-GE
Project No. P149953

Assignment Title: Assessment of Road Network, Preparation of Detailed Design, Environmental and Social Management Documents, and Bidding Documents for Implementation of a Rehabilitation and Maintenance Output and Performance-Based Road Contract (OPRC) in Guria Region and Provision of Monitoring/Supervision Services
Contract/RFP No: SRAMP/CS/QCBS-01
Reference No. SRAMP PP, Item No. 1.3;

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Secondary Road Asset Management Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under these projects, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Assessment of Road Network, Preparation of Detailed Design, Environmental and Social Management Documents, and Bidding Documents for Implementation of a Rehabilitation and Maintenance Output- and Performance-Based Road Contract (OPRC) in Guria Region and Provision of Monitoring/Supervision Services".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The Shortlisting Criteria are:

1. Similar experience in:

1.1 Preparation of Feasibility/Assessment Studies (including preparation of Bidding Documents/Development of Contracts) for OPRC in accordance with the European Standards Successfully Completed in or after 2007;

1.2 Preparation of environmental and social management documents for medium-size roads projects successfully completed in or after 2007;

1.3 Preparation of Detailed Design for asphalt paved roads the Construction/Rehabilitation in accordance with the European Standards of which were Successfully Completed in or after 2007;

1.4 Monitoring / Supervision of OPRC necessarily including supervision of road maintenance works/services where payments are based on meeting pre-set service levels in or after 2007.

The estimated duration of the assignment is 3 years and 11 months, out of which the first 11 months will be dedicated to Feasibility Study, Preparation of Detailed Design, Environmental and Social Management Documents, and Bidding Documents. After that, the Client will conduct a bidding process for the civil works Contract and select a contractor, the Consultant will start a 3-year Supervision/ Monitoring activity.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)* to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 40 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 40 pages.

The Consultant will be selected under **Quality and Cost-based Selection** method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 21, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ წინ, საქართველო!

პეტრიაშვილის ოქროს წერტილი



უკვე ვწერდით, რომ უნგრულ სომბათჰეიში 23-წლამდელ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის პირველ დღეს ქართველმა ფალავნებმა ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეორე დღეს ხალიჩა დარჩენილი ოთხი წონითი კატეგორიის წარმომადგენლებს დაეთმოთ. საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბას კიდევ სამი მედალი შეემატა, ამჯერად — ერთი „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გორელი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი, რომელმაც ტიტული შეინარჩუნა., ხოლო მესამე ადგილებზე ბათუმელი შოთა ფარტენაძე (61) და ქუთაისელი მირზა სხულუხია (70) გავიდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, შესანიშნავად იჭიდავა გენო პეტრიაშვილმა. იმის მიუხედავად, რომ ყველა უძლიერესმა ბადეში მის მხარეს მოიყარა თავი, ნუგზარ სხირელის შეგირდმა ოთხიდან სამი ორთაბრძოლა ვადამდე მოიგო: საკვალიფიკაციოში თურქ სალიმ ერკანის 3.28 წუთში 12:2 სძლია, უკრაინელ დანილო კარტავის 7:2 აჯობა, ნახევარფინალში რუსეთელი ყაზბეგ ხუბულოვიც წმინდად დაამარცხა, გადამწყვეტ პაექრობაში ბელარუს ვიტალი პიასნიაკსაც შავი დღე აყარა — 2.34 წუთში 10 უპასუხო ქულა აართვა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მთელ ტურნირზე პეტრიაშვილმა მხოლოდ 4 ქულა დაკარგა, თავად კი 39 მოიპოვა და ჩემპიონატსაც ოქროს წერტილი დაუსვა.

კარგად იჭიდავა ფარტენაძემაც: სტარტზე მან სლოვაკი ივან მოლნარი დაამარცხა -— 10:0, მერე მოლდოველ მიჰაილ ესანუს 4:0 აჯობა, ნახევარფინალი თურქ სედათ ოზდემირთან დათმო - 3:6, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი უკრაინელი ივან ბილეიჩუკი დაჯაბნა — 8:0 და, შარშანდლის მსგავსად, მესამე ადგილზე გავიდა.

შედარებით გამოუცდელმა ქუთაისელმა სხულუხიამ სტარტზევე წააგო აზერბაიჯანელ ჰაჯიმურად ომაროვთან (1:12), რომელიც მერე ჩემპიონი გახდა. სხულუხიამ დამამშვიდებელში მოლდოველ თომა ვასკანს 6:6-ზე დამატებითი მაჩვენებლებით სძლია, ბელარუს სურხო რაშიტხანაუს 9:3 აჯობა და ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა.

ამდენად, სომბათჰეიში ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 8 წონიდან 6 მედალი მოიპოვეს, დააგროვეს 60 ქულა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-2 ადგილი დაიკავეს — ქულით ჩამორჩნენ რუსეთის ნაკრებს, რომელიც შინ მხოლოდ ერთი „ოქროთი“ გაემგზავრა.

1-2 აპრილს უნგრეთში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

ლექსო ციწცაძე

◎ ხელბურთი

საქართველო მსოფლიოს და ევროპას უმასპინძლებს

წლეულს 8-20 აგვისტოს თბილისში 24 ნაკრების მონაწილეობით ცხრამეტწლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, ევროპის ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით კი 2018 წლის 13-18 აგვისტოს დედაქალაქის ოლიმპიური სასახლე თვრამეტწლამდელ ხელბურთელ ვაჟთა კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ 2000-2001 წლებში დაბადებული სპორტსმენები, რომლებიც წლეულს ზაფხულში შვედურ გეტებორგში ევროპის ღია პირველობაზე ითამაშებენ.

გუშინ სასპორტო კომპლექს „არენაში“ ამ ასაკის ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობა დამთავრდა. ფინალური ექვსეულის დასკვნით ტურში ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა „პეგასმა“ (მწვრთნელები-ტიტე კალანდაძე, გიორგი სახვაძე) „წყალტუბო“ (ნოე გოგიძე) დაამარცხა 32:19 და ხუთი შეხვედრიდან 10 ქულით ტიტული შეინარჩუნა. ჩემპიონს ორი ქულით ჩამორჩა ფოთის „ოქროს ვერძი“ (თემურ ჭანტურია, გელა ჟვანია), რომელმაც 12-ბურთიანი სხვაობით სძლია აუტსაიდერ „ქარიშხალას“ და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 6 ქულით „ბრინჯაო“ წყალტუბოელებს ერგოთ. მომდევნო სამ ადგილზე „სამტრედია“ (4 ქულა), „რუსთავი“ (2) და „ქარიშხალა“ (ხუთივე შეხვედრა დათმო) გავიდნენ.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი



ზაზამ მერვე ათასეული გახსნა

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ გასვლაზე „სან ანტონიო“ 110:98 დაამარცხა. ფაჩულია სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 18 წუთი დაჰყო. ამ დროში ზაზამ გუნდს 6 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და ერთი ჩაჭრა შესძინა. ქართველმა ცენტრმა 7-დან ორი ორქულიანი და ორიდან ორივე საჯარიმო ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, პირველ პერიოდში „სან ანტონიო“ „გოლდენ სტეიტს“ 29:7 ამარცხებდა. „მეომრებმა“ 22-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და მესამე პერიოდში წინაც გავიდნენ. სტეფ კარიმ ორმაგი დუბლი შეასრულა — 29 ქულა, 11 პასი, კლეი ტომპსონს კი 23 ქულა ჰქონდა. „სან ანტონიოში“ ყველაზე მეტი — 19 ქულა კავაი ლეონარდის ანგარიშზეა.

„გოლდენ სტეიტი“ 61 მოგებით და 14 მარცხით დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს, ხოლო „სან ანტონიო“ 57 მოგებით და 17 წაგებით ამავე კონფერენციაში მეორე ადგილზეა.

მომდევნო შეხვედრას ოქროსშტატელები სახლში „ჰიუსტონის“ წინააღმდეგ 1 აპრილს გამართავენ.

შეგახსენებთ, რომ წინა ტურში „ჰიუსტონთან“ ფაჩულიამ NBA-ში 14-წლიანი კარიერის განმავლობაში მე-7000 ქულა მოაგროვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძალოსნობა

ფიცარნაგი უფროსებსა და ჭაბუკებს ეთმობათ

სპლიტში (ხორვატეთი) 1-9 აპრილს ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრების (მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე) ღირსებას ხუთი სპორტსმენი დაიცავს. 2 აპრილს რამინ შამილიშვილი (62 კგ) მოსინჯავს ძალებს, 5 აპრილს — გიორგი ლომთაძე (77), 7 აპრილს ანასტასია გოტფრიდი (90) იასპარეზებს, 8 აპრილს კი ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ტალახაძე და რიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ირაკლი თურმანიძე (ორივე-მძიმე წონა) იბრძოლებენ მედლებისთვის.

3-10 აპრილს ბანგკოკში (ტაილანდი) 17-წლამდელები მსოფლიოს პირველობაზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ქართველები (მთავარი მწვრთნელი ზურაბ ანთაური, მწვრთნელი თემურ ჯანჯღავა) ფიცარნაგზე ასეთი გრაფიკით გავლენ: 6 აპრილი — გურამ გიორბელიძე (62 კგ), 7-არჩილ მალაყმაძე და კახი ასანიძე (ორივე-69 კგ), 8-ედუარდ კაკაბაძე და ლომია თებიძე (ორივე-77), 9-ლაშა თაქთაქიშვილი (85), 10 აპრილი - ზაზა ლომთაძე (94) და თორნიკე ტაბატაძე (+94). ამ შეჯიბრებაზე 2018 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება. პირველ-მეშვიდე ადგილებზე გასული გუნდები არგენტინის ორ-ორ, ხოლო მერვე-მეჩვიდმეტე ადგილებზე გასულნი თითო ლიცენზიას მოიპოვებენ.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

მწვრთნელს არიენ რობენიც შეარჩევს

ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებს კარგი დრო არ უდგას და მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენა ემუქრება. „ნარინჯისფერები“ ამჟამად უმწვრთნელოდ არიან და ჯერჯერობით უცნობია, ვინ დამოძღვრავს 1988 წლის ევროპის ჩემპიონს.

საინტერესოა, რომ ჰოლანდიელთა კაპიტანი არიენ რობენი მოითხოვს, მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თავად და ვესლი სნეიდერი.

„მე და სნეიდერს ჰოლანდიის ნაკრების მაისური 14 წელია გვაცვია. ჩავატარეთ ბევრი თამაში და გვიმუშავია ბევრ მწვრთნელთან. ვფიქრობ, რომ ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებით საღი აზრი გაგვაჩნია.

მე კაპიტანი ვარ, პირველი ადამიანი, ვისაც უნდა მოუსმინონ, ვისაც ფედერაციასა და ფეხბურთელებს შორის კონტაქტი შეუძლია - ჯერ არ ვაპირებ ნაკრებიდან წასვლას და ამიტომაც მინდა, რომ მწვრთნელის დანიშვნის პროცესში მე და სნეიდერი ვიყოთ ჩართულნი.

ვან გაალი? — ჩემს სიაში ლუი პირველ რიგში იქნებოდა, მაგრამ ამჟამად სახელებსა და გვარებზე საუბარი მეტისმეტად ადრეა“, — აღნიშნა რობენმა.

რობენი და სნეიდერი ჰოლანდიის ნაკრებში 2003 წლიდან მოყოლებული თამაშობენ და 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც იასპარეზეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ბურთის შემდეგ — წიგნი

ვეტერანი ამერიკელი ფეხბურთელი ქალი მია ჰემი ერთ-ერთი იმ სპორტსმენთაგანია, ვისაც ჭეშმარიტად დიდებული სპორტული კარიერა ჰქონდა და მის უკან ისეთი წლებია მოტოვებული, ბევრ ცნობილ და ლეგენდარულ მამაკაც ფეხბურთელსაც კი რომ შეშურდება.

სწორედ ამიტომ ნამდვილად არაა გასაკვირი ის, რომ ქალბატონ მიას საკუთარი ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერის ამბიცია გაუჩნდა და როგორც ამერიკული ბულვარული მედია გვამცნობს, ლეგენდარული მია ჰემის წიგნი მზის სინათლეს მიმდინარე წლის ოქტომბერში იხილავს.

ჭეშმარიტად დიდებული საფეხბურთო კარიერის პარალელურად მია ჰემს ნამდვილად არ ჰქონდა მარტივი და მშვიდი პირადი ცხოვრება და მიუხედავად უმძიმესი სპორტული რეჟიმისა, ჰემმა მაინც მოახერხა დედა გამხდარიყო, რაც ბევრი ფეხბურთელი და ზოგადად სპორტსმენი ქალისათვის, სამწუხაროდ, ოცნებად დარჩა.

როსტომ რაჭველიშვილი

გამოსათხოვარი

ვასილ ჩაჩიბაია

ქართულ სამედიცინო საზოგადოებას მოულოდნელად გამოაკლდა ცნობილი მედიკოსი, ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვასილ ჩაჩიბაია.

პროფ. ვასილ ჩაჩიბაია დაიბადა თბილისში, 1955 წლის 1 სექტემბერს ტრადიციულ, ინტელიგენტურ ქართულ ოჯახში. უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო ქ. მოსკოვში, ხალხთა მეგობრობის სამედიცინო უნივერსიტეტში. 1980 წელს ჩაირიცხა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ენდოკრინოლოგიისა და ჰორმონთა ქიმიის კლინიკურ ორდინატურაში, ენდოკრინული ქირურგიის განხრით. 1985 წ. სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ენდოკრინული ქირურგიის სპეციალობით, რომლის დასრულებისთანავე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „Рецидив хромаффиномы“ გამოჩენილი მეცნიერის, პროფ. კონსტანტინე კაზეევის ხელმძღვანელობით. მისმა სამეცნიერო გამოკვლევამ დაიმსახურა სპეციალისტთა უმაღლესი შეფასება, როგორც ერთადერთმა სისტემატიზირებულმა გამოკვლევამ აღნიშნული პრობლემის შესახებ. ნაშრომში წარმოჩენილ იქნა არსებითი კლინიკური და ლაბორატორიული სხვაობები დაავადების რეციდივის მიმდინარეობისას, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო გამოვლენის ფორმებზე. დადასტურებულ იქნა დაავადების სუბკლინიკური სტადიის არსებობა. ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგად დადგინდა დაავადების ხელმეორედ გამომწვევი ფაქტორები.

1992 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „Хирургическое лечение и клинико-имунологическое обоснование лечебной тактики при заболеваннях щитовидной железы“.

პროფ. ვასილ ჩაჩიბაიას მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოკვლევები მიეძღვნა ენდოკრინული ქირურგიის სამეცნიერო პრობლემებს. ნაშრომთა ციკლისათვის „ქრომოფინომის რეციდივის კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ ვასილ ჩაჩიბაიას მიენიჭა საქართველოს კომკავშირის სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

რუსკთიდან პროფ. ვასილ ჩაჩიბაია დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ სნეულებათა კათედრაზე. 2000-2012 წწ. ის ხელმძღვანელობდა ენდოკრინულ დარღვევათა და ენდოვიდეოქირურგიის განყოფილებას ქალაქ თბილისის მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში.

მრავალი წლის თავდაუზოგავი შრომისა და მრავალი სირთულის გადალახვის შემდეგ მან და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ე. გიორგაძემ დააფუძნეს ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი, რომელსაც უძღვებოდა სიცოცხლის ბოლომდე.

პროფ. ვასილ ჩაჩიბაია ღირსეულად წარმოაჩენდა ქართული სამედიცინო სკოლის მიღწევებს საერთაშორისო ასპარეზზე. მისი შრომები გამოირჩეოდა სიღრმისეული კვლევის მნიშვნელოვანი შედეგებით, მაღალი აკადემიზმით; ის იყო სრულიად გამორჩეული, უზადო პროფესიონალი, უმაღლესი კლასის ქირურგი. რეგულარულად მონაწილეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონგრესებისა თუ სიმპოზიუმების მუშაობაში – პარიზი (2003წ.), პრაღა (2004წ.), ლისაბონი (2004წ.), გიოტებორგი (2005წ.), ბუენოს-აირესი (2005წ.), გლაზგო (2006წ.), ნიდერლანდები (2006წ.), ტორონტო (2006წ), ჰონგ-კონგი (2006წ.), სიდნეი (2006წ.), ვენა (2010წ.) და სხვ.

პროფ. ვასილ ჩაჩიბაია იყო მრავალი სამედიცინო ასოციაციისა თუ საზოგადოების საბჭოს წევრი. პროფ. ვასილ ჩაჩიბაიას სახელთან იყო დაკავშირებული მუდმივი, თავდაუზოგავი შრომა ენდოკრინული ქირურგიის სამსახურის შემდგომი განვითარებისათვის, ზრუნვა ახალი თაობის მეცნიერ-მკვლევართა თუ პრაქტიკოსი ექიმების პროფესიულ წარმატებაზე. ის სრულიად გამორჩეული იყო იშვიათი პიროვნული ხიბლით, მაღალი ნიჭიერებით, ინტელექტითა და ინტელიგენტურობით, საოცრად ენერგიული, სანდო ექიმი სიკეთით მოსილი, მრავალმხრივ განათლებული ნათელი პიროვნება.

იშვიათია ის სიყვარული, მადლიერება და პატივისცემა, ამავე დროს, უდიდესი და გულწრფელი სინანული, სევდა, ტკივილი, რაც მისმა ესოდენ ნაადრევმა წასვლამ გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

მხარდამჭერი მარათონი

„შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“

1-2 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპორტული კლუბი Mia Force-ის ორგანიზებით, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი ძარიანი ავტომობილებით რბოლის მსოფლიო ჩემპიონატის – TCR interbational-ის 2018 წლის სეზონის გახსნას უმასპინძლებს.

გუშინ მხარდამჭერი მარათონი თბილისში, ვარდების მოედანზე გაიმართა. ავტომობილების გამოფენა-მსვლელობაში TCR international Series-ის მრბოლელები, ასევე Porche Club Georgia-ს ავტომანქანები და მოტოკლუბი GUARDIANS-ის მოტოციკლები მონაწილეობდნენ.

შსს-ს სპორტულ კლუბსა და TCR international-ს შორის ავტორბოლის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება მიმდინარე წლის დასაწყისში გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, საქართველო ძარიანი ავტომობილებით რბოლის მსოფლიო ჩემპონატის 2017 წლის სეზონის გახსნას, ასევე 2018 და 2019 წლების სეზონის თითო ეტაპს უმასპინძლებს. ჩემპიონატში მონაწილეობას მსოფლიოს ცნობილი ავტომრბოლელები მიიღებენ, მათ შორის, ქართველი ავტომრბოლელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპორტული კლუბი Mia Force-ის წევრი დათა ქაჯაია.

TCR international-ი შსს-ს კომპანია – „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ გასულ წელს შეუერთდა.

საერთაშორისო TCR international მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ავტოდრომებზე მთელი წლის განმავლობაში იმართება. ტურნირს რამდენიმე მილიონი გულშემატკივარი ჰყავს და წამყვან სპორტულ არხებზე გადაიცემა.

ვარდების მოედანზე უამრავმა მხარდამჭერმა მოიყარა თავი. ავტომობილების გამოფენა-მსვლელობაში მონაწილეებმა მხარდამჭერებს სამახსოვრო ავტოგრაფები დაურიგეს.

ელგუჯა ნადარეიშვილი,
ავტორის ფოტო.

კრიმინალი

არადეკლარირებული საქონელი და ოქროს ნაკეთობები

27 მარტს საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სომხეთის მოქალაქის, ს.ჰ-ს კუთვნილი ბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერებისას, არადეკლარირებული ქალის ერთგვაროვანი ტანსაცმელი (1426ც) აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 3705.44ლარი შეადგინა.

სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 3705.44 ლარის ოდენობით შეეფარდა.

* * *

28 მარტს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, რუსეთის მოქალაქეების, ა.-მ-ს, ა.ო-სა და ა.ა-ს ბარგისა და ავტომობილების ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 24,661.51 ლარი შეადგინა.

კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში 24,661.51 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია და გია წიკლაურებს მამის

კოტე წიკლაურის

გარდაცვალების გამო.

ქრთამის აღების ფაქტზე სატყეო უბნის ტყის მცველი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს, სამცხე-ჯავახეთის - ბორჯომის სატყეო უბნის ტყის მცველი დააკავა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულს, მის სამოქმედო არეალში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სატყეო უბანზე, უკანონოდ უნდა მოეჭრა დიდი ოდენობით ხის სამასალე მორები და ქრთამის სანაცვლოდ, თავადვე გამოეტანა და გადაეცა ერთ-ერთი მოქალაქისთვის.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ, 30 მარტის ნომერში დაბეჭდილ ქრონიკაში „ჩვენი მირონცხებული ხელმწიფენი“, მონაკვეთში „გიორგი მცირე“ გაპარულია დასანანი შეცდომა. ნაცვლად დაბეჭდილისა „საქართველოს მეფე 1311-1131 წლებში“, უნდა იყოს „საქართველოს მეფე 1311-1313 წლებში“.

ვიცინოთ, ვიტირეთ თუ ვიფიქროთ?..

აზრები, ფრაზები სხვათაგან თქმული...

ყაჩაღები სავსე ქისას ან სიცოცხლეს ითხოვენ, ქალები – ერთსაც და მეორესაც.

თუ ტვინს უხეიროდ იყენებ, მაშინ ბევრად სჯობს უტვინობა.

რეფორმების გარდამავალი ასაკი მთელი ცხოვრება გრძელდება.

ის კაცი ფულს ისე მოწიწებით და გულის ფანცქალით ეპყრობოდა, რომ შოვნაზეც უარს ამბობდა.

არიან ადამიანები, რომლებიც წითელ ხიზილალას მიირთმეენ ყოველდღე, მაგრამ სულაც არ წითლდებიან.

აბა, ვის ეცოდინებოდა კაზანოვა, დონ ჟუანი ან ლოველასი, ქალები რომ არ ყოფილიყვნენ.

თუ ცოლთან ჩხუბის დროს ჩუმადა ხარ, შენი სიჩუმე ყალბია.

მარტოობის ვადას ყველა თვითონ უსჯის თავის თავს.

ძველ დროში ცეცხლს ხახუნით აჩენდნენ, ასე აჩენენ ბავშვებს დღემდე.

შეუძლებელია ბოლო არამზადა გახდე: იმწუთასვე ვინმე ამოგიდგება უკან.

ყველაზე ახლოს მეფეებთან პაიკები არიან.

სუყოველ ადამიანს შეუძლია ისე მოქცევა, როგორც თვითონ უნდა.

თუ მამაკაცი თავისნათქვამა და მიდეგაა, ის აუცილებლად მიაღწევს იმას, რაც ქალს უნდა.

ჩვენმა ბიუროკრატიულმა მანქანამ დიდი ხანია, რაც მსოფლიო დონეს გადააჭარბა.

ისინი, ვინც არ ფიქრობს, ყოველთვის თანამოაზრენი არიან.

არცრა ისე არ აფუჭებს მიზანს, როგორც ფუჭი გასროლა.

თუკი სახეში გაგარტყეს, ეგრევე მეორე მიუშვირე.

თუ ცვლილების ქარი ღრიჭოში უბერავს, უმალ ორპირ ქარად იქცევა.

ადამიანის აზრს საზღვარი არა აქვს, მეტადრე, თუ ადამიანი გონიერია.

ეჰ, თემიდას თვალებიდან რა ხშირად უცურდება სახვევი პირთან.

სასაცილო გვარებიანი ბავშვები ძლიერები იზრდებიან.

უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინრები ლოგინში წინასწარ ალერსს ინსტრუქტაჟით ცვლიან.

სვიტრი შალის თბილი ჩასაცმელია, რომელსაც შვილიშვილს აცმევენ, როცა ბებიამისს სცივა.

უცენზურო ჩინელებსაც აქვთ იეროგლიფები.

შენი თავიდან მონის გამოსადევნად უფროსს ნუ ელოდები.

ინფორმაციის გადაცემის ყველაზე ვიწრო არხი კინწისკვრაა.

ღორი ყველაზე სასარგებლო ცხოველია. იმისგან ყველაფრის გამოყენებაა შესაძლებელი: ხორცისა – საჭმელად, ტყავისა – ფეხსაცმლის დასამზადებლად, ჯაგრისა – ჯაგრისისთვის, ხოლო სახელწოდება – შეურაცხყოფის მისაყენებლად.

ღირსება და სინდისი პირველ ადგილზეა, უნამუსობა – კონკურსს გარეშე.

რწყილები ტოლერანტები არიან: სულ არ ენაღვლებათ, ძაღლი რა ჯიშისაა.

ასაკის მატებასთან ერთად ყველა ჭკუაში ვარდება, ოღონდ ეგ არის, რომ ყველა ვერ მიდის იმ ასაკამდე.

ენაჩლიფინა ბიჭები გოგოებს ნაწნავებს უწვალებენ.

კინორეჟისორებს პირველი შვილი მეორეზე ბევრად უკეთესი გამოსდით.

ადამიანების ოთხმოცი პროცენტის აზრით, ყველაზე რთული ნებისმიერ სამუშაოში იმის გულისთვის დილით ადრე ადგომაა.

თუ ცხვარს წყვილ-წყვილად თვლი, ორჯერ სწრაფად დაიძინებ.

შეკრიბა
გურამ წიკლაურმა

ყავა და... მეხსიერება

ათი წლის მანძილზე ყოველდღიურად 64 მილიგრამი კოფეინის მოხმარება ხანდაზმულ ქალებში გონებასისუსტის განვითარების რისკს 36 პროცენტით ამცირებს, აცხადებენ ამერიკის ვისკონსინ-მილუოკის უნივერსიტეტის მეცნიერები. კოფეინის ამ დოზას კი ორი-სამი დიდი ფინჯანი ყავა, ან ხუთი-ექვსი ფინჯანი შავი ჩაი შეიცავს.

ათი წლის განმავლობაში მეცნიერები დაახლოებით 6,5 ათას 65 წელს გადაცილებულ ქალბატონს აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც კოფეინს საშუალო დოზაზე მეტს მოიხმარენ, გონებასისუსტით დაავადების გაცილებით ნაკლები რისკი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც კოფეინს ყოველდღიურად საშუალო ნორმაზე ნაკლებს მიირთმევს.

იყო დრო, როცა უჯრედები ვიყავით

უჯრედი – ყველა ცოცხალი ორგანიზმის ძირითადი ერთეულია, რომელსაც როგორც განცალკევებულად (უმარტივესნი, ბაქტერიები), ისე მრავალუჯრედოვანი ქსოვილების შემადგენლობაში (ცხოველების, მცენარეების, სოკოების) არსებობის უნარი აქვს.

ბირთვული უჯრედები შედგებიან ციტოპლაზმითა და გარსით გარემოცული ბირთვისაგან. ციტოპლაზმა უამრავ მკვეთავ ნივთიერებას შეიცავს, ბირთვი კი – დნკ-ს, რომელშიც ცოცხალი ორგანიზმის შესახებ მთელი ინფორმაციაა დაშიფრული. ბირთვის გარსის სისქე სულ 8 ნანომეტრია.

ნებისმიერი ჩვენგანი სიცოცხლის დასაწყისში ერთადერთი უჯრედისგან შედგებოდა დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში. ზრდასრული ადამიანი კი 100 ტრილიონი ცოცხალი უჯრედისგან შედგება. დაბადების მომენტისთვის ადამიანის თავის ტვინში 14 მილიარდი უჯრედია და მათი რიცხვი, მოყოლებული 25 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე, ყოველდღიურად 100 ათასი უჯრედით იკლებს. არსებითად, უჯრედების მხოლოდ ერთი მეათედი გვეკუთვნის ჩვენვე, დანარჩენი 90 პროცენტი კი ესაა იმ მიკროორგანიზმების უჯრედები, რომლებიც როგორც ორგანიზმის შიგნით, ასევე მის ზედაპირზე ცოცხლობენ.

ნივთიერებათა ცვლის პროცესის 30 წლის შემდეგ, უჯრედების განახლება ნელდება, ბოლოს კი სრულიად ქრება. ადამიანის ზოგიერთი უჯრედის სიცოცხლის მინიმალური ხანგრძლივობა 1-2 დღეა. უჯრედის მასას 70-80 პროცენტს წყალი შეადგენს, რომელშიც სხვადასხვა მარილი და დაბალმოლეკულური ორგანული ნივთიერებებია გახსნილი. უჯრედის ყველაზე დამახასიათებელი კომპონენტებია ცილები და ნუკლეინური მჟავები.

მთელი სხეულის „შემოსავლელად“ სისხლის უჯრედს სულ 60 წამი სჭირდება. სირაქლემის გაუნაყოფიერებელი კვერცხის გული – ესაა 155 მილიმეტრის ზომის უზარმაზარი უჯრედი.

რა დევს „შავ ყუთში“



ბოლო წლებში გახშირებული ავიაკატასტროფის შესახებ ცნობებში გამუდმებით ახსენებენ ეგრეთ წოდებულ „შავ ყუთებს“, თუმცა კი მათ შესახებ ფართო საზოგადოებამ ცოტა რამ თუ იცის.

„შავი ყუთი“ – ეს ისეთი მოწყობილობაა, რომელშიც საჰაერო ხომალდის ნებისმიერ პირობებში ფრენის შესახებ აუარება ინფორმაცია გროვდება. ეს მოწყობილობა, რომელიც სინამდვილეში არა შავი, არამედ ნარინჯისფერია, რაც მის მოძებნას აადვილებს, ერთმანეთში ჩადებული სამი ნაწილისგან შედგება. გარეთა საკანი გამოწრთობილი ფოლადისგან ან ტიტანისგან მზადდება. მის ქვეშ საიზოლაციო ფენა და სიცხეგამძლე ბუდეა. ასეთი ყუთი, ფაქტობრივად, ნებისმიერი კატასტროფის შემდეგ დაურღვეველი რჩება. მისი „ტვინია“ საინფორმაციო ბლოკი. მონაცემები მაგნიტურ ფირფიტაზე როგორც კომპიუტერში ისე იწერება. ეს ბლოკი ყუთის შუაგულში ინახება.

დაცვის სამ ფენას – სიცხედამწევს, იზოლაციურსა და ფოლადისას – ნახევარი საათის განმავლობაში ცელსიუსის 1093 გრადუს ტემპერატურის გაძლება შეუძლია. ხოლო თუკი ყუთი ზღვაში ჩავარდება, 30 დღის განმავლობაში ის მაშველთა ჯგუფებს სიგნალს 6 ათას მეტრის სიღრმიდანაც კი გადასცემს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4472; ევრო - 2.6408;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0431;
100 რუბლი - 4.2951; თურქული ლირა - 0.6721;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4336;
1000 სომხური დრამი - 5.0667.

ამინდი 31 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge